საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მზია მიქელაძე

აღზრდის მიზნები და ამოცანები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

(განათლების მაგისტრის
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი)

მეცნიერ ხელმძღვანელი ისტორიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი გურანდა კუკულაძე

ხიჭაური

2019

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომში – აღზრდის მიზნები და ამოცანები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში განხილულია თუ, როგორ, დგას აღზრდის მიზნებისა და ამოცანების საკითხი ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური ხასიათის თხზულებებში, პუბლიცისტურ წერილებსა თუ მხატვრულ ლიტერატურაში. ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ შეხედულებებზე დაყრდნობით დეტალურად არის გაშუქებული აღზრდის შემდეგი მიზნები: გონებრივი განათლება, ფიზიკური განვითარება, ზნეობრივი აღზრდა, პროფესიული განათლება, ეროვნულ-პატრიოტული განათლება, თვითმოქმედებისა და პირადი ინიციატივის უნარის გამომუშავება და მომავლის პერსპექტივის შექმნის ამოცანა. სამაგისტრო თემის ცალკე თავი ეძღვნება აღზრდის საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხის კვლევას ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა მიხედვით.

შინაარსი

შესავალი — **გვ.4**

თავი I საკითხის კვლევის ისტორიისთვის — **გვ.7**

თავი II აღზრდის საგანი, მიზნები და ამოცანები (ზოგადი მიმოხილვა) — **გვ.10**

თავი III აღზრდის მიზნები და ამოცანები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში - **გვ.15**

3.1. გონებრივი განათლება — **გვ.15**

3.2. ფიზიკური განვითარება — **გვ.17**

3.3. ზნეობრივი აღზრდა — **გვ.20**

3.4. ეროვნულ-პატრიოტული განათლება — **გვ.24**

3.5. პროფესიული განათლება — **გვ.32**

3.6. თვითმოქმედებისა და პირადი ინიციატივის უნარის გამომუშავება — **გვ.39**

3.7. მომავლის პერსპექტივის შექმნის ამოცანა — **გვ.45**

თავი IV ილია ჭავჭავაძე აღზრდა-განათლების საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ — **გვ.50**

დასკვნა — **გვ.56**

გამოყენებული ლიტერატურა — **გვ.60**

შესავალი

ეპოქალური პიროვნება, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, პროზაიკოსი და პოეტი, ისტორიკოსი, ეკონომისტი, იურისტი - ილია ჭავჭავაძე დიდი პედაგოგიც იყო. მან უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოში პედაგოგიკის მეცნიერების ფორმირებისა და განვითარების საქმეში. ილია მოღვაწეობის ადრეული პერიოდიდანვე დაინტერესდა ბავშვთა აღზრდა-განათლების პრობლემებით. როგორც იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს: ,,ლიტერატურაში მეტი მნიშვნელობა აქვთ იმ მწერლების ქმნილებათა, რომლებიც განირჩევიან განსაკუთრებული აღმზრდელი ხასიათით, ზემოქმედებით, გავლენით... გენიალური მოძღვარი, გენიალური პედაგოგი თავისი ერისათვის. სწორედ ასეთია ილია“ (გოგებაშვილი,1955:215-216). ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ეს ბუმბერაზი პიროვნება წმინდანად შერაცხა და ილია მართალი უწოდა.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ შეხედულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღზრდის მიზნისა და ამოცანების საკითხზე მსჯელობას. სწორედ ილიამ ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების დეფინიცია, 1863 წელს ,,საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ გერმანელი პედაგოგის კ.გ. ზალცმანის თხზულების თარგმანის წინასიტვაობაში, სადაც წერს - ,,არსებობს მეცნიერება - პედაგოგიკა, რომლის საგანიც არის ყმაწვილების აღზრდა“ (ჭავჭავაძე, 1938:136-137).

მომავალი თაობის სწორი აღზრდა აქტუალური იყო ყოველ ეპოქაში და ასეა დღესაც. დღეს საქართველოში მრავალი მიმართულებით უჭირს განათლების სისტემას, უამრავი რეფორმა ტარდება, რათა ქვეყანაში სწავლის დონე და ხარისხი გაიზარდოს. ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი თემის კვლევას,

როგორიცაა აღზრდის მიზნები და ამოცანები, რაზეც დიდი ილია ამბობდა: ,,ნამეტანი იქნება იმაზედ ლაპარაკი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის კითხვას ყმაწვილების აღზრდაზედ, რადგანაც ცხადია, რომ ქვეყნის მყობადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას“ (ჭავჭავაძე, 1938:136-137). მომავალი თაობის წესიერად აღზრდისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღზრდის მიზნების ნათლად გამორკვევასა და დასახვას, ვინაიდან შედეგი ისეთივე გვექნება, როგორ მიზანსაც დავისახავთ.

თემის აქტუალობას სწორედ ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური აზროვნების მდიდარ სალაროში აღზრდის მიზნებსა და ამოცანებზე დაუნჯებული შეხედულებანი და მსჯელობანი განსაზღვრავს, რომელთაც, საბედნიეროდ, დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელოვანი აღმზრდელობითი ძალა და აქტუალობა.

კვლევის მიზნები და ამოცანები – სამაგისტრო ნაშრომში მიზნად დავისახეთ პედაგოგიკის ისტორიის მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად, ილია ჭავჭავაძის შემოქმედების, სამეცნიერო ლიტერატურისა და საკვლევ თემასთან დაკავშირებული მასალების ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ავხსნათ, თუ რა მიზნებსა და ამოცანებს უსახავს ილია ჭავჭავაძე მომავალი თაობის აღზრდას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ამოცანად დავისახეთ ილიას პედაგოგიურ თხზულებებში გვეპოვნა, თემატურად დაგვეჯუფებია და განგვეხილა აღზრდის ცალკეული მიზანი. ვფიქრობთ, დასახული ამოცანა განვახორციელეთ, რადგანაც ილიას შემოქმედებაზე დაყრდნობით ვიმსჯელეთ აღზრდის შემდეგ მიზნებზე: გონებრივი აღზრდა, ზნეობრივი აღზრდა, ფიზიკური აღზრდა, ტექნიკური აღზრდა, ეროვნულ-პატრიოტული აღზრდა და თვითმოქმედების უნარის გამომუშავება.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები _ ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე პედაგოგიკის ისტორიის მიერ შემუშავებულ პრინციპთა და მეთოდთა კომპლექსური გამოყენება, როგორიცაა ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი, ანალიზისა და სხვ. ამ ბუმბერაზი პიროვნების შემოქმედებას, რომ ჩავწვდეთ, აუცილებელია მოვიმარჯვოთ მეცნიერული კვლევის ისტორიზმის მეთოდი, რომლის გამოყენებასაც თვით ილია გვირჩევდა,

კერძოდ: ,,ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა“ (ჭავჭავაძე, 1941:346). სწორედ ისტორიული რეალობის გათვალისწინებით არკვევს ილია ახალგაზრდების აღზრდის მიზანს, რომლის შინაარსიც მისთვის მუდმივი და უცვლელი არ არის. ის, როგორც განვითარების თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, აღზრდის მიზანს ისტორიზმის პრინციპიდან გამომდინარე არკვევს და უკავშირებს შესაბამისი ისტორიული პერიოდის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ამოცანებს.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისა და ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მასალები, ინტერნეტრესურსები.

ნაშრომის სრუქტურა და მოცულობა. წარმოდგენილი ნაშრომი – ,,აღზრდის მიზნები და ამოცანები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“ – შედგება შესავლის, ოთხი თავის, შვიდი პარაგრაფისა და დასკვნისაგან, თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I

საკითხის კვლევის ისტორიისთვის

ქართველ მოღვაწეთა შორის გიგანტური ფიგურის, კლასიკოსი მწერლის - ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი ინტერესი დიდი იყო ყოველთვის და ასეა დღესაც. არაერთგზის გამოიცა მისი მხატრული ნაწარმოებები, კრიტიკული თუ პუბლიცისტური წერილები (პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის ,,ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული", ათტომეული, 1925-29 წწ; ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ხუთ ტომად, 1986-87 წწ; ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, (შედგენილია მურმან ლებანიძის მიერ) 1984 წ; და სხვა). მოხდა მათი მრავალმხრივი და სიღრმისეული შესწავლა. ილიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას განსაკუთრებული დეტალიზებით აღწერს გურამ შარაძე თავის ორ ტომეულში ,,ილია ჭავჭავაძე".

მიუხედავად ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების მიმართ არსებული დიდი დაინტერესებისა და კვლევითი ლიტერატურის სიმრავლისა, მისი პედაგოგიური შეხედულებანი დღემდე სრულყოფილად არაა შესწავლილი, არადა დიდია ილიას ამაგი პედაგოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში.

ილია ჭავჭავაძემ პერიოდული პრესის და უმთავრესად ,,ივერიაში" დაბეჭდილი სტატიების საშუალებით ქართული პედაგოგიური აზროვნების სალარო გაამდიდრა სახალხო განათლების საკითხებზე დაწერილი ახალი წერილებით თუ ნაშრომებით: ,,პედაგოგიის საფუძვლები" (1888), ,,ჩვენი ხალხი და განათლება" (1886 წ.), ,,ისევ განათლების საკითხებზე" (1889 წ.),,ქალი მასწავლებელი" (1886 წ.) ,,დედათა საქმე და ქალთა განათლება" (1889 წ.) ,,ხილნარობისა და მევენახეობის სასწავლებელთა

შესახებ“ (1886 წ.),სატექნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ“ (1896 წ.) (შარაძე, 1990:78).

ილიას პედაგოგიური მემკვიდრეობის შეკრება-გამოქვეყნების პირველი სერიოზული მცდელობა განახორციელა პროფესორმა გიორგი თავზიშვილმა. 1938 წელს მისი რედაქციით გამოიცა ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური თხზულებანი, რომელსაც ვრცელი შესავალი წერილი დაურთო სახელწოდებით - ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები. პროფ. თავზიშვილი თავის შეხედულებებს ანვითარებს ილია ჭავჭავაძის არამხოლოდ მხატრულ ნაწარმოებებზე, არამედ მის პუბლიცისტურ წერილებზე დაყრდნობითაც, რომლებიც თავმოყრილი იყო ინგოროყვა-აბაშელის რედაქციით გამოსულ - ილია ჭავჭავაძის ნაწერების ათტომეულში. თავზიშვილის რედაქციით გამოცემულ კრებულში შეტანილია ილია ჭავჭავაძის აღმზრდელობითი შინაარსის ისეთი წერილებიც, რომლებიც ზემოთ მოხსენიებულ ათტომეულში არ მოიძიებოდა და ,,საქართველოს მოამბესა“ და ,,ივერიიდან“ არის ამოკრეფილი. ასეთ წერილებს მიეკუთვნებიან: ილიას წინასიტყვაობა ხ.ჰ. ზალცმანის ,,კონრად კიფერის“ ქართული თარგმანისათვის და შენიშვნა ამავე თხზულების შესახებ, წინასიტყვაობა მოთავსებულია ,,საქართველოს მოამბის“ 1863 წლის III ნომერში, ხოლო შენიშვნა იმავე წლის IX ნომერში; ,,ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს“, ჟურნ. ,,ივერია“, 1877 წ., N3; ,,სასოფლო-სამეურნეო განათლება” - გაზ. ,,ივერია“, 1886 წ. N47; ,,თვითმოქმედება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში“, გაზ. ,,ივერია“, 1886 წ., N 102 და სხვა.

პროფ. თავზიშვილის ნააზრევი დღემდე მნიშვნელოვან და მრავალმხრივ გამოკვლევად რჩება, კონკრეტულად ილიას შემოქმედების პედაგოგიური მიმართულებით შესწავლის საქმეში. მკვლევარს შესავალ წერილში ვრცლად აქვს განხილული აღზრდის საკითხები ილიას შემოქმედებაში (აღზრდის პროცესი, მნიშვნელობა, მიზანი და ამოცანები, თვითგანათლება), სკოლის როლი და ამოცანები, მასწავლებელი და მისი დანიშნულება, ბავშვის დედა-ენა და აზროვნება, ქალთა განათლება და სხვა. ჩვენს სამაგისტროზე მუშაობისას შესანიშნავი გზამკვლევის ფუნქცია შეასრულა პროფ. თავზიშვილის რედაქციით გამოცემულმა ზემოთ

დასახელებულმა კრებულმა, რომელიც დღეს-დღეობით ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური შეხედულები მეცნიერულადაა გამოკვლეული აკად. გიორგი ჯიბლაძის ვრცელ მონოგრაფიაში ,,ილია ჭავჭავაძე“ (თბ.1966) (გობრონიძე, 1997:13). აკად. ჯიბლაძის სამეცნიერო სტატია - ,,ილია ჭავჭავაძე და პედაგოგიკის პრობლემები“ მოცემულია ასევე ჟურნ. ,,სკოლა და ცხოვრების“ 1978 წლის N5-ში.

აღზრდის საკითხებს ილია ჭაქვჭავაძის პედაგოგიურ თხზულებებში ეხება ჟურნალ ,,სკოლა და ცხოვრების“ ცალკეული ნომრები: 1979 წლის N5, 1980 წლის N11, 1987 წლის N10 და სხვ.

1988 წელს გამოცემულ ,,პედაგოგიკის ისტორიაში“ (რედაქტორი ნ.ვასაძე) ცალკე პარაგრაფის სახით მოცემულია ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური შეხედულებები აღზრდის მიზნისა და მნიშვნელობის შესახებ.

პროფ. ალექსანდრე გობრონიძის რედაქტორობით 1997 წელს გამოცემულ იქნა კრებული ,,ილია ჭავჭავაძე და პედაგოგიკის საკითხები“, სადაც ავტორები მრავალმხრივ იკვლევენ ილიას შემოქმედებაში არსებულ პედაგოგიურ იდეებს.

ბოლო პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური შეხედულებები აკადემიურად და სიღრმისეულადაა შესწავლილი პროფ. ნოდარ ბასილაძის 2017 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში - ,,ილია ჭავჭავაძე და პედაგოგიკის საკითხები“ . მასში ვრცლადაა განხილული შემდეგი საკითხები: ილია აღზრდის მიზნისა და ამოცანების შესახებ, ჰუმანიზმის აღზრდის იდეები ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში, ილია ჭავჭავაძე შრომითი აღზრდის შესახებ, ილია სასოფლო-სამეურნეო განათლების შესახებ, ილია და ბავშვთა ოჯახური აღზრდის ზოგიერთი საკითხი და სხვა.

აღიშნული საკითხები პროფ. ბასილაძეს გაშუქებული აქვს ასევე 2013 წელს გამოცემულ ,,ქართული პედაგოგიკის ისტორია“-ში ცალკე თავის სახით.

ჩვენი სამაგისტრო თემის კვლევის უმთავრეს მიზანს შეადგენდა ეჩვენებია, თუ როგორ დგას აღზრდის მიზნის საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. აქედან

გამომდინარე ძირითადი წყარო რაზეც დაფუძნდა ჩვენი დასკვნები არის უშუალოდ ილია ჭავჭავაძის მხატრული და პუბლიცისტური ხასიათის თხზულებები. ასევე გათვალისწინებულ იქნა ის შეხედულებები, რაც გაზიარებულია ჩვენს მიერ მოძიებულ საკითხთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

თავი II

აღზრდის საგანი, მიზნები და ამოცანები (ზოგადი მიმოხილვა)

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ შეხედულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღზრდის მიზნების ანუ საგნის და ამოცანების კვლევის საკითხს. როგორც თავად ილია განმარტავს პედაგოგიის მეცნიერების უმთავრეს საგანს ყმაწვილის აღზრდა წარმოადგენს.

,,აღზრდა ზოგადი სახით არის პიროვნების ჩამოყალიბების, ფორმირების, რთული, სოციალური, მიზანმიმართული და ორგანიზებული პროცესი აღმზრდელის, მასწავლებლის ხელმძღვანელობით“ (პედაგოგიკა, 1969:10). ცნება აღზრდა, მისი ვრცელი დეფინიციით, წარმოადგენს ,,პიროვნებაზე ორგანიზებულ პედაგოგიურ ზემოქმედებას, საზოგადოების კონკრეტულად განსაზღვრული სოციალური თვისების ჩამოყალიბების მიზნით პირობების მიზანმიმართულ შექმნას, რათა ადამიანმა აითვისოს კულტურული გამოცდილება თანდაყოლილი შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომ სტიმული მიეცეს მის თვითგანვითარებას და დამოუკიდებლობას, როგორც პიროვნულ თვისებებს“ (გობრონიძე, 2000:245).

თუ რა არის აღზრდის მთავარი მიზანი, ეს კითხვა ყოველთვის აქტუალური იყო კაცობრიობის ისტორიის ყოველ ეტაპზე. აღზრდის მიზნის არაერთი განმარტება მოგვეპოვება და მისი სხვადასხვაგვარი დეფინიცია საკითხის უკეთ გარკვევაში გვეხმარება. იაკობ გოგებაშვილს აღზრდის მიზნად მიაჩნდა ,,ყმაწვილის მომზადება ცხოვრებისათვის, ისეთი ,,ახალი ტიპის ქართველის" აღზრდა, რომელსაც ასწავლის ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარებას, გულს უვსებს მაღალი ადამიანური გრძნობებით, ანიჭებს მტკიცე ხასიათსა, ზრდის მასში თაოსნობის უნარსა, თავისი თავის იმედსა, თავაზიანობას, დარბაისლობას და ამზადებს სულითა და ხორცით საღს ადამიანებს, შეუპოვარ მეომართ ბუნებისა და უკეღმართის ცხოვრების წინააღმდეგ" (გოგებაშვილი, 1990:182-183).

გერმანელ ფილოსოფოსისა და ფსიქოლოგის იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტის აზრით, აღზრდის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სათნო ადამიანის ჩამოყალიბება, მაგრამ ამ მიზანს განიხილავდა, როგორც მარადიულს, უცვლელს და მხედველობაში ქონდა ისეთი ინდივიდის აღზრდა, რომელსაც შეეძლებოდა არსებული ურთიერთობისადმი შეგუება, დადგენილი მართლწესრიგის პატივისცემა და მისდამი მორჩილება(გობრონიძე, 2000:104). აღზრდის მიზნის მხოლოდ სუბიექტური ფაქტორებით განსაზღვრა არ მიგვაჩნია მართებულად. ყოველი ადამიანი გარკვეული ეპოქის და საზოგადოების წარმომადგენელია, ყოველ ახალ თაობას ცხოვრება განსხვავებული გამომწვევების წინაშე აყენებს და აღზრდის მიზანიც მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების ინტერესებთან.

ჰერბარტის მოსაზრებიდან განსხვავებით ილია ახალგაზრდების აღზრდის მიზნის გარკვევისას ისტორიზმის პრინციპით ხელმძღვანელობს. მისთვის არ არსებობს აღზრდის მუდმივი და უცვლელი შინაარსი ან მიზანი. ის, როგორც განვითარების თეორიის წარმომადგენელი აღზრდის მიზანს არკვევს ისტორიული რეალობიდან გამომდინარე და შესაბამისს ისტორიული პერიოდის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ამოცანებთან დაკავშირებით. მისი დროის მთავარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენაში მდგომარეობდა - „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს"-ო წერს მგზავრის წერილებში. ამ ამოცანის

გადაჭრისაკენ მოუწოდებს ილია ყველა მოწინავე და პროგრესულად მოაზროვნე ქართველს. სწორედ ამ ამოცანით საზღვრავს იგი სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლების „შვილთა“ ბრძოლას „მამების“ წინაამდეგ და ამავე ამოცანას უსახავს იგი ამავე პერიოდის ქართველი ახალგაზრდების აღზრდა-განათლებას. ილიას აღზრდის იმჟამინდელი მიზანი ნათლად აქვს ჩამოყალიბებული ჟურნალ ,,ივერიის“ 1881 წლის მაისის ,,შინაურ მიმოხილვაში“ „ჩვენი ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან“ მიაჩნდა მას ახალგაზრდობის „მომზადების საგნად“ იმ დრომდე, სანამ, ილიას თქმით, „ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევაო“. ილია ჭავჭავაძე ამასთანავე დასძენს, რომ „ სხვა საგანი ამასზედ უმძიმესი,ამაზედ უსაჭიროესი არაა აქვს ეხლდანდელს საქართველოს შვილს“. ეს მიაჩნია მას ჩვენი ყმაწვილ-კაცობის მომზადების საგნად ესე იგი მიზნად (ჭავჭავაძე, 1938:240).

,,შინაური მიმოხილვის“ იმავე წერილში ილია არკვევს აღნიშნული მიზნის მიღწევის გზებს, თუ რა საშუალებითაა შესაძლებელი სასურველ შედეგამდე მისვლა. ერთადერთი გზა, ილიას აზრით, მეცნიერული განათლებით შეიარაღებაში მდგომარეობს. ეს ირკვევა მისი შემდეგი სიტყვებიდან: რომ „ჩვენის ვინაობის„ „აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არა უქმნია რა, რადგანაც იმისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგად ქვეითობდნენ“. აქედან დასკვნა, ილია აღზრდის მიზნის მიღწევისათვის უმთავრეს პირობად მიიჩნევს ღრმა მეცნიერული განათლების ქონას.

ილიამ განსაზღვრა საგანიცა (ანუ მიზანი) და გზა-საშუალებაც მომავალი თაობის აღსაზრდელად. „აი საგანი, აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა მთელს ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმალით შეჭურვილი, აი, რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს... ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს

ჩვენის ქვეყნის საქმეს, უამისოდ... კაცი ერთ ბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წარსდგამს, და იმ საგანს და გზას.. ვერაფერს საბოლოოდ ვერ დაამჩნევს. ამაზე უკეთეს საგანს, ამაზე უკეთესს გზას უკვე სხვაგან გამოცდილსა და გამოყენებულს, სხვას ვერას ვურჩევთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ-მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ“ (ჭავჭავაძე, 1938:241).

ამრიგად, ილია ისტორიზმის პრინციპის გათვალისწინებით მისი დროის ახალგაზრდობის აღზრდის მთავარ საგნად ,,ჩვენი ვინაობის აღდგენას“ ანუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებას მიიჩნევდა, ხოლო ამ მიზნის მიღწევის საშუალებას კი ახალგაზრდების ,,ბეჯითი და ზედმიწევნილი“ ცოდნით აღჭურვაში ხედავდა. ილიას სწამდა, ქართველი ხალხი შეძლებდა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენას და „ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს დაიჭერდა“. ეჭვს არ იწვევს, რომ ამ დროისთვის ილია, სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, აღზრდის ახალ მიზნებს დაუსახავდა და ახალი დროისთვის შესაფერ მოთხოვნებს წაუყენებდა მომავალ თაობას, რაც ისტორიულ მომენტს ზუსტად უპასუხებდნენ.

ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის დიდი მოაზროვნეები - დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, კვინტილიანე და სხვები მოითხოვდნენ პიროვნების ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიულ განვითარებას, რაც ანტიკური საზოგადოების პედაგოგიკურ ლიტერატურაში გამოიხატა ცნებით: ,,კალოს კაი აგატოს“, რაც ნიშნავს ჩინებულს გარეგნულად, ანუ ფიზიკურად და შინაგანად, ანუ ზნეობრივად. ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას აღზრდის იდეალად მიიჩნევდა ჩეხი პედაგოგი იან კომენსკი.(ბასილაძე, 2017:7). მოგვიანებით შვეიცარიელი პედაგოგი იოჰან ჰაინრიხ პესტალოცი აღზრდის მიზნის განმარტებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას სძენს ადამიანის ყველა ბუნებრივ ძალთა და უნართა და ამავე დროს მის მრავალმხრივ და ჰარმონიულ განვითარებას. ხოლო რუსი პედაგოგი კონსტანტინე უშინსკი აღზრდის მიზნად თვლიდა სრულყოფილი, ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის მომზადებას (გობრონიძე, 2000:104).

ილიას ადამიანის ჰარმონიულ განვითარებაზე მსჯელობისას, უპირველესად მხედველობაში ჰქონდა აღზრდა. აღზრდა-განათლება ილიას ერთიან პროცესად მიაჩნია. ის აღზრდაში განათლებასაც გულისხმობს, და პირიქითაც - განათლებაში ადამიანის ინტელექტუალური აღზრდაც იგულისხმება. ილიას პედაგოგიურ ნააზრევში გონებრივი აღზრდის მიზნები განათლების მიზნებიდან არ განსხვავდება, თუმცა ცხადია, რომ აღზრდა გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე განათლება, უფრო კონკრეტულად კი ინტელექტუალური აღზრდა. ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ შეხედულებებში გამოვყავით და გავაანალიზეთ აღზრდის შემდეგი მიზნები: გონებრივი განათლება, ზნეობრივი აღზრდა, ფიზიკური განვითარება, ტექნიკური აღზრდა, ეროვნულ-პატრიოტული აღზრდა და თვითმოქმედების უნარის გამომუშავება. ადამიანის ასეთ მრავალმხრივ განვითარებას ილია ხშირად უწოდებს, პედაგოგიკის ისტორიაში ცნობილ და მის დროსაც აქტიურად გამოყენებულ ტერმინს: ჰარმონიულ განათლებას.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე აღზრდის უმთავრეს მიზნად მიიჩნევს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას, რომელიც ისტორიზმის პრინციპის გათვალისწინებით შეძლებს ღირსეული პასუხი გასცეს ქვეყნის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევებს.

თავი III

აღზრდის მიზნები და ამოცანები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

3.1. გონებრივი განათლება

აღზრდის პირველ და უმთავრეს მიზნად ილია გონებრივ განათლებას ასახელებს. მისი მოსაზრებით, გონების თავისუფლება, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, - „ერთადერთი ნიშანია ჭეშმარიტის განათლებულობისა და აღმატებულობისა“ (ჭავჭავაძე, 1938:344), რომ,,...ამაზე უკეთესს საგანს, ამაზე უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერას ვურჩევთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას“ (ჭავჭავაძე, 1938:228-229). ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ილია ილაშქრებს ცალმხრივი განათლების წინააღმდეგ, მიიჩნევს, რომ გონებრივ აღზრდას არ უნდა შეეწიროს აღზრდის სხვა მიზნები. აღზრდის იდეალურ ვარიანტად მხოლოდ ჰარმონიულ განათლებას მოიაზრებს, განათლებას, რომლის დროსაც თანაბრად

ხდება ადამიანის შესაძლებლობების ყოველმხრივი განვითარება. ამის შესახებ ილია ვრცლად საუბრობს 1888 წელს გაზეთ ,,ივერიაში“ დაბეჭდილ ,,პედაგოგიის საფუძვლებში“: „ დედა-აზრი ეხლანდელის პედაგოგიის მიმართუ-ლებისა იგია, რომ ადამიანი უნდა იწურთვნებოდეს სკოლაში ყოველ მხრით: გონებით, ზნე-ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი მათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს“ (ჭავჭავაძე, 1987:221).

ჰარმონიული აღზრდა-განათლების პრინციპი ილიასათვის, როგორც თვითონ აღნიშნავს „ახალი ამბავი არ არის“. ილია სრულიად სამართლიანად საუბრობს, რომ ამ იდეით გამოვიდნენ პედაგოგიკის ისტორიაში „განახლების ეპოქის“ იტალიელი ჰუმანისტი პედაგოგები ვიტორინი და ფელტრე, პაოლო ვერჯერიო, მატეო ვეჯიო და სხვები. ილია ცალკ-ცალკე განიხილავს მათ პედაგოგიურ შეხედულებებს თავის ,,პედაგოგიის საფუძვლებში“ და დანანებით აღნიშნავს, რომ ეს პრინციპი XIX საუკუნის დასასრულსაც კი არ იყო განხორციელებული. ადამიანის ჰარმონიული განვითარება ილიას თავისი მოღვაწეობის პერიოდშიც აღზრდის ახალ პრინციპად მიაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ილიასთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო პიროვნების აღზრდისას ყურადღება მის ყოველმხრივობაზე ანუ თავისუფალ, ჰარმონიულ განვითარებაზე გამახვილებულიყო და ამით აღმოფხვრილიყო ცალმხრივი განვითარების პრინციპი, ეს, სულაც არ აკნინებს ადამიანის გონებრივი აღზრდის მნიშვნელობის ხარისხს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ პიროვნების ყოველმხრივ-ჰარმონიული განვითარებისათვის ილიასათვის უმთავრესი ადამიანის გონებრივი განათლება იყო (ჭავჭავაძე, 1938:49).

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე აღზრდის უმთავრეს პრინციპად ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას მიიჩნევდა, ხოლო ჰარმონიული განვითარებისათვის, კი, უმნიშვნელოვანესად ინტელექტუალური, იგივე გონებრივი აღზრდა, ანუ განათლება მიაჩნდა.

3.2. ფიზიკური განვითარება

შეუძლებელია სრულყოფილად მივიჩნიოთ აღზრდის პროცესი, თუ უგულვებელყოფილია მოსწავლეთა ფიზიკური წრთობა. ჰარმონიული მხოლოდ იმ ადამიანს შეიძლება ვუწოდოთ, ვისაც სულიერი და ფიზიკური ძალები თანაბრად აქვს განვითარებული (ჯიბლაძე, 1974:26-27). ფიზიკური აღზრდის უშუალო მიზანს წარმოადგენს მოზარდის მომზადება შრომითი საქმიანობისა და თავდაცვისათვის.

თავდაცვაში იგულისხმება როგორც სამშობლოს, ისე პირადი უშიშროების დაცვა (ბიბილეიშვილი, 2011:106).

აღზრდის მიზანთა შორის, ყმაწვილთა ყოველმხრივი განვითარების საყურადღებო მხარედ ილია ჭავჭავაძე ფიზიკურ აღზრდასაც ასახელებს. ფიზიკური განვითარების მნიშვნელობაზე ის ვრცლად საუბრობს ,,პედაგოგიის საფუძვლებში". ამ საკითხზე მსჯელობისას ილია იშველიებს ფრანსუა რაბლეს შეხედულებებს, რომელიც ,,გარგანტუა და პანტაგრუელში" ერთმანეთს ადარებს ძველ და ახალ სწავლების წესს. ახალი წესი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვი რაც შეიძლება ნაკლებად იყოს მომწყვდეული ოთხ კედელს შუა, რადგანაც დახშული ოთახი და უმოძრაობა ჩაგრავს ყმაწვილის ფიზიკურ ძალებს. ყმაწვილი დღის უმეტეს დროს ჰაერზე უნდა ატარებდეს. ,,სეირნობს ბავშვი თუ ჰთამაშობს, თუ ტანისა და აგებულობის წარსამატებლად ვარჯიშობს, ჭამს თუ სვამს, ოსტატმა ბავშვის თვალი და გონება უნდა მიახედოს ყველაფერზედ, რაც კი საცოდნელად და საწურთვნელად გამოსადეგია" (ჭავჭავაძე, 1987:227-228). ილიამ რაბლეს მოსაზრებებში დაინახა მისი დროისათვის საჭირო მრავალი ჭეშმარიტება, სწავლების ძველი წესების დაგმობა, და იმ აუცილებელი კანონის აღიარება, რომ აღზრდა, პირველ ყოვლისა, აღსაზრდელის ჰარმონიულ განვითარებას უნდა გულისხმობდეს, მისი შემოქმედებითი ძალების ამოქმედებას, ფიზიკურ წვრთნას, სულიერ ამაღლებას, მეცნიერებასთან ერთად თვით ცხოვრების შესწავლას (ჯიბლაძე, 1987:7). ყმაწვილის ფიზიკური წვრთვნისთვის ილია მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ტანისა და აგებულების ვარჯიშს და ისეთ მოქმედებას როგორებიცაა: ბურთაობა, კენჭაობა, ცხენზე ჯდომა, ცურვა, ჭიდაობადა ა.შ.

ილია აკრიტიკებს მისი დროის სკოლებს და მიიჩნევს, რომ XIX-ის სკოლებში ყმაწვილთა აღზრდა ცალმხრივად მიმდინარეობდა და ამ კუთხით ისინი ჩამორჩებოდნენ ,,განახლების" პერიოდის სასწავლებლებს. ,,ეხლანდელი სკოლა - წერს ილია - ბევრში ჩამოუვარდება ,,განახლები" დროების სკოლებს, რომლებსაც საგნადა ჰქონდათ თანასწორი წარმატება ადამიანის სულისა და ხორცისა. ეხლანდელი სკოლა, მართალია, ბევრ ცოდნას აწვდის მოსწავლესა, მაგრამ ცალმხრივ მოქმედობს, ხასიათის წურთვნას თითქმის თავს ანებებს და ტან-აგებულებას ადამიანისას არამც თუ

შველის, არამედ ჰღალავს“ (ჭავჭავაძე, 1987:228) ამ ჩამორჩენილობის მიზეზად კი ფიზიკური განვითარებისადმი უყურადღებობას ასახელებს: „დავიწყებულია, რომ კაცს ტანი და აგებულებაც აქვს, რომელიც წურთვნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს“ (ჭავჭავაძე, 1987:228)

ილია ფიზიკურ განვითარებაზე საუბრისას ხაზგასმით ამბობს, რომ სწორ ფიზიკურ განვითარებასთანაა დაკავშირებული ყმაწვილის ჯანმრთელობა, რომელიც ღმერთისგან მონიჭებული მადლია და მას, როგორც ძვირფასს განძს, გაფრთხილება სჭირდება: ,,ჯანმრთელობა უდიდესი მადლია, რომელსაც კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა“ (ჭავჭავაძე, 1987:228). ამ განძის გაფრთხილებაზე კი აღმზრდელებმა უნდა იზრუნონ და აღზრდის მიზანთა შორის მნიშვნელოვნად უნდა მიიჩნიონ.

ამგვარად, ილიას „თანაბარი წარმატება სულისა და ხორცისა“ მიაჩნია აღზრდისა და სწავლა-განათლების ისეთ ამოცანად, რომელიც სკოლას ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს. ჯანმრთელი, მხნე, ღონიერი, სიძნელეთა ამტანი, გამძლე, მებრძოლი და გმირული სულისკვეთებით გაჟღენთილი თაობა - აი, რა მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს ფიზიკური აღზრდის მიზნად. მის თანამედროვე სკოლას აღზრდის ეს მხარე არ აინტერესებდა. ილიას თქმით, ამ სკოლაში მოსწავლე „სულით და ხორცით იქანცება, არაქათი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორცით ღონიერ ადამიანის მაგიერ უძლური, უღონო და ჯამ-გალეული კაცი გამოდის სკოლიდან“. ილია ენერგიულად მოითხოვს ასეთი სკოლის გარდაქმნას „თანამედროვე პედაგოგიის თვალსაზრისით“. ეს თვალსაზრისი სხვა საჭიროებათა შორის მოითხოვდა ბავშვის ჰარმონიულ განათლებას, რომელიც ფიზიკურ განვითარებას აღზრდა-განათლების სხვა მომენტების სიმაღლეზე აყენებდა (ჭავჭავაძე,1938:52).

3.3. ზნეობრივი აღზრდა

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ შეხედულებებში ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელ პირობად, ინტელექტუალურ აღზრდასთან ერთად, მისი ზნეობრივი აღზრდაცაა დასახელებული.

მტკიცე ზნეობრივი ნორმების გამომუშავება და ცოდნა მას მიაჩნდა ყოველი პიროვნების საზოგადოებრივი ყოფა-ქცევის რეგულატორად. ილიას მოსაზრებით, პიროვნებამ პირადი ინტერესები საზოგადოებრივ ინტერესებს უნდა შეუფარდოს და ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ არც თავის ინტერესებს ავნოს რაიმე და არც სოციუმისას. ადამიანმა უნდა იცოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების წესი, ზნეობრივი ნორმები და მათი გათვალისწინებით უნდა მოქმედებდეს. ილიას კარგად აქვს გადმოცემული თავის მხატრულ ნაწარმოებებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ზნეობრივი აღზრდისათვის საზოგადოებრივ ზეგავლენას. ილიამ თავის შემოქმედებაში არაერთგზის გვაჩვენა, რომ ადამიანის ზნეობის გამომუშავება საზოგადოებრივი ზეგავლენის ნიადაგზე ხდება: კარგი ზნე-ხასიათის ანუ კარგად აღზრდილი პიროვნება დადებითი საზოგადოებრივი წრის გავლენის შედეგია, ხოლო ცუდი ზნე ხასიათის ან უზნეო პიროვნების ჩამოყალიბება საზოგადოების უარყოფითი და დამღუპველი გავლენის შედეგია (ჭავჭავაძე, 1938:49).

ილიას გული წყდებოდა იმის გამო, რომ იმდროინდელ სკოლებში (და ახლაც) მასწავლებელთა მთელი ყურადღება მიმართული იყო მოსწავლეთა ცოდნით შეიარაღებაზე და მივიწყებული იყო მათი აღზრდა, ,,ზნე-ხასიათის წვრთნა“. ,,ეხლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, - წერდა იგი, - რომ, პატარა ბავშვის თავში, რაც შესაძლოა მეტი ცოდნა დასტიოს, ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის“ . ამიტომ იგი მოითხოვდა სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის, აღმზრდელობითი სწავლების პრინციპის დაცვას. ,,... სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწრუთვნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც, - წერს იგი - წრთვნა და სწავლა ხელი ხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში“ (ბასილაძე, 2017:10).

ზნეობრივი აღზრდა ადამიანის სისრულის აუცილებელი მომენტია. „სავსება ერთობ ადამიანისა, წერს ილია, იმაშია, რომ მის გონების აღმატებულობას შეწონილ

ქონდეს აღმატებულობა ზნე-ხასიათისაც“ (ჭავჭავაძე, 1987:209). აღნიშნულ მოსაზრებას ილია იმით ხსნის, რომ ადამიანის აზროვნებაში ხშირად ჩნდება გონებისა და ზნეობისთვის წინააღმდეგობრივი შეხედულებები, წინააღმდეგობრიობა ჩნდება მის გონებრივსა და ზნეობრივ მდგომარეობას შორის: არის შემთხვევა, როცა ადამიანი განათლებულია, მაგრამ ამავე დროს ზნედაცემული, საზოგადოებისათვის საშიში და მავნე პიროვნება. ცხადია, ასეთი ადამიანი ვერ იწოდება სრულყოფილ და მითუმეტეს დადებით პიროვნებად, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ განათლებულობის მაღალი დონე ვერ პასუხობს ზნეობრივი ადამიანის სტანდარტს. „საკმაო არ არის, წერს ილია, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი-კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს. ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებლობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს. ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია“ (ჭავჭავაძე, 1987:208). ასეთი კაცი თავის ცოდნასა და გამოცდილებას საზოგადოების საზიანოდ გამოიყენებს. ამიტომ ილიას აზრით, განათლებულ უზრდელს, გაუნათლებელი და ,,ზნე-ხასიათ გაწვრთნილი“ კაცი ჯობია (ბასილაძე, 2017:10). ამ ამონარიდიდან კარგად ჩანს ავტორის პოზიცია, მასში საკმაო კატეგორიულობითაა ნათქვამი, რომ კაი-კაცობა მხოლოდ ზნე-ხასიათით ეძლევა ადამიანს. ამით ილიას სურს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ზნეობრივი აღზრდის საკითხს. აშკარაა, რომ ილია მართალი ადამიანის სწავლა-განათლებაში სხვა დანარჩენთან ერთად, ზნეობრივ აღზრდასაც გულისხმობს. ამასვე ამტკიცებს მისი შემდეგი სიტყვები„ ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის“. ილია დასძენს, რომ „ზნე-ხასიათის წურთვნა დიდად დამოკიდებულია სწავლასა და ცოდნაზედა“ (ჭავჭავაძე, 1987:209). ამ სიტყვებით ხაზია გასმული ადამიანის განვითარების საქმეში სწავლებისა და ცოდნის წამყვან როლზე და იმაზე თუ რა დამოკიდებულება არსებობს ზნეობრივ განათლებასა და გონებრივ განათლებას შორის.

ადამიანის ზნეობრივი და გონებრივი აღზრდა პარალელურად მიმდინარე პროცესებია და მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან. ილია აღნიშნულის გათვალისწინებით წერს, რომ ზნეობრივ და გონებრივ განვითარებას ერთი და იგივე ზეგავლენის მეთოდით ვერ მივაღწევთ. ის ფიქრობს, რომ ზნეობრივი განათლება შეიძლება მივიღოთ აღმზრდელობითი მუშაობით ბავშვთა შორის, ხოლო გონებრივი განათლება კი სწავლის გზით. აღმზრდელობითი მუშაობა მას ხშირად ესმის როგორც „წურთვნა“ და ასხვავებს მას სწავლისგან. „წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს , მეორეს სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა კი გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე“ (ჭავჭავაძე, 1987:209). ასე ასაბუთებს ილია მათ განსხვავებას. განსაკუთრებული მტკიცება არაა საჭირო, რომ წრთვნა-ვარჯიშის მოწყვეტა სწავლებისა და სწავლის პროცესისაგან არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლება მათი გაიგივება, ხოლო მათი კავშირი რომ აუცილებლად აქვს ნაგულისხმევი ილიას, იმით მტკიცდება, რომ მათი საშუალებით გამოწვეული შედეგები: ზნეობრივი განვითარება და გონებრივი განათლება, როგორც ვნახეთ, მჭიდრო კავშირსა და ერთიანობაში აქვს მოცემული, თუ შედეგთა კავშირი ფაქტია, მათი გამომწვევ მიზეზ-საშუალებათა კავშირიც ნათლად დასტურდება (ჭავჭავაძე, 1938:50).

ილია ჭავჭავაძეს ზნე-ხასიათი წარმოდგენილი აქვს, როგორც კონკრეტული შინაარსის მქონე ფსიქიური მოვლენა. აი, რა თვისებებს უნდა ატარებდეს ზნეობრივი ადამიანი ილიას შეხედულებით: ზრდილობას, პატიოსნებას, სამართლიანობას, უფროსების, მასწავლებლის, მშობლების პატივისცემის გრძნობას, პატრიოტიზმს, კაცთმოყვარეობას, ჰუმანიზმს და სხვა. აღიშნულზე ილია წერდა, რომ: „ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინდისი, მისი ზნეობითი და ძვირფასი კუთვნილებაა და ყოველივე ესე სახელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან და თვითეულ ადამიანისაგან პატივცემული უნდა იყოს, სრულიად ხელშეუხებელი“... (ჭავჭავაძე, 1938:51).

აღმზრდელობითი მუშაობა ილიას მოსაზრებით, უნდა გასწიოს არა მხოლოდ სკოლამ, არამედ ოჯახმა და საერთოდ იმ მაკრო საზოგადოებამ სადაც ბავშვს უხდება ყოფნა. აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი მიზანი ზნეობრივად გამართული

მოქალაქის აღზრდაა და ის უნდა მიმდინარეობდეს ზემოთ აღნიშნული ზნე-ხასიათის გამომუშავების გზით. ამისათვის ილიას სხვა პირად ღირსებათა შორის აუცილებლად მიაჩნია ახალგაზრდას განუვითარდეს სხვისი დაფასების საჭიროების შეგნება, თავდაბლობა, ზომიერება, მორიდება, რჩევა-დარიგების მიღების უნარი უფროსებისაგან, პასუხისმგებლობა ნაკისრი მოვალეობის შესრულების დროს, წესრიგი და დისციპლინა აღმზრდელობით დაწესებულებასა და ზოგადად საზოგადოებში.

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებელთა მიმბაძველობასა და მაგალითს. კარგი ქცევისადმი მიბაძვა და კარგი მაგალითის განმეორება ზნეობრივი განვითარების დიდ ფაქტორებად მიაჩნია მას და ამისათვის მოითხოვს სასკოლო და საოჯახო აღმზრდელობითი პროცესის ისე მოწესრიგებას, რომ ყოველივე, რაც ბავშვს ზრდის და ყველა, ვინც მის აღზრდას აწარმოებს მისაბაძი და სამაგალითო იყოს აღსაზრდელისათვის (ჭავჭავაძე, 1938:51).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ილიას აღზრდის სისტემაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ზნეობრივი აღზრდა, რომელიც ადამიანის სისრულის აუცილებელ პირობად მიაჩნია მწერალს. ილიას ზნე-ხასიათი წარმოდგენილი აქვს როგორც კონკრეტული შინაარსის მქონე ფსიქიური მოვლენა. ზნეობრივი აღზრდის საშუალებად აღმზრდელობით მუშაობას მიიჩნევს. აღმზრდელობითი მუშაობა მაგალითის მნიშვნელობის გათვალისწინებით უნდა განახორციელოს სკოლამ, ოჯახმა და მაკრო საზოგადოებამ ერთობლივად, რათა აღიზარდოს პატრიოტი, სამშობლოს და ქვეყნის მოყვარული, სამართლიანი და პასუხისმგებლობით სავსე ახალგაზრდა.

3.4. ეროვნულ-პატრიოტული განათლება

ილია ჭავჭავაძე აღზრდის მიზანთა შორის გამორჩეულ ადგილს უთმობს მოზარდებში პატრიოტული გრძნობების განვითარებას.

ერისა და ქვეყნის სიყვარული ანუ პატრიოტიზმის აღზრდა ილიას ყმაწვილის სოციალური აღზრდის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად მიაჩნდა და რასაკვირველია ის საპატიო ადგილს იჭერდა აღზრდის საერთო მიზანთა გვერდით. ილია ისტორიზმის გათვალისწინებით სახავდა აღზრდის საერთო მიზნებს და როგორც ზემოთ ვთქვით მისი დროის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ,,დაცემული ვინაობის აღდგენა", რომლის მიღწევაც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებამდე მიიყვანდა. სწორედ ამ ბრძოლისთვის გამოსადეგი ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდა იყო მიზანთა შორის უდიდესი.

პატრიოტული აღზრდის პირველ მომენტად ილიას მიაჩნდა, სამშობლოსა და ხალხის სიყვარული. მისი აზრით, სამშობლოს სიყვარული ადამიანს მატებს ძალასა და ენერგიას, სიმამაცესა და გაბედულებას, ხდის შეუპოვარს დასახული მიზნის შესრულებისათვის ბრძოლაში. ყოველივე ეს თვისება უნდა აღიზარდოს ბავშვში, რომ ის სამშობლო-ქვეყნისათვის თავდადებული და გამოსადეგი პიროვნება გამოვიდეს. ამიტომ ,,ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობას, დიდი ხნის ზრუნვა, ყურის გდება და ერთგულება სჭირდება" (ბასილაძე, 2017:25).

ილია ჭავჭავაძეს მტკიცედ სწამდა, რომ საქართველოს უკეთესი ხვალინდელი დღის უზრუნველყოფა, მისი განვითარება აღარ შეეძლო ეროვნულად და სულიერად დეგრადირებულ ,,კეთილშობილ" და ,,ბრწყინვალე" საზოგადოებას. ,,ცხოვრებამ ჩვენში ცოტათ თუ ბევრად ფერი იცვალა, ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილება

დაბადა ხალხის ცხოვრებაში. ძველი ცხოვრება თავის ნაკვალევიდამ გამოვიდა და ახალი გზა - კი ჯერ კიდევ გაურკვეველია,ახალი ცხოვრების კვალი ვერ მიუგნია... აი აქ უნდა მოეშველოს ის,ვისაც იმოდენა ცოდნა და განათლება შეუძენია, რომ ახალის ცხოვრების მოთხოვნილება ესმის და გზის ჩვენება შეუძლიან. აი აქ უნდა გამოვიდეს საქვეყნოდ ის, ვისაც გული შესტკივა თავის უმეცარ მოძმესათვის“ (ჭავჭავაძე, 1986:260). ილიას აზრით, ეს საქვეყნო მისია უნდა შეესრულებინა პროგრესულ იდეებზე აღზრდილ ახალ თაობას, რომელიცთავის საქმიანობაში უპირველესად ეროვნულ საკითხს წამოწევდა და განავითარებდა, მტკიცედ იბრძოლებდა საქართველოს კულტურული და სულიერი ცხოვრების გადაგვარების წინააღმდეგ, საბოლოოდ კი გარდაქმნიდა ხალხის ცხოვრებას და ახალ ხანას დაუმკვიდრებდა სამშობლოს (ბასილაძე, 2011:64). ეროვნული მიზნების ცხოვრებაში გატარება მხოლოდ პროგრესულ იდეებზე აღზრდილ და განათლებულ თაობას შეეძლო. განათლების ნაკლოვანება უდაოდ შეაფერხებდა ამას, ვინაიდან: ერის ეკონომიური სიღატაკე - განათლების სიმცირის შედეგია, ერის პოლიტიკური დამონება - განათლების სისუსტის ბრალია, ერის სულიერი დაცემა - განათლების უქონლობის ბრალია (თავზიშვილი, 1977:119-120).

პატრიოტული აღზრდის აუცილებლობის დასაბუთებისათვის ილია ჭავჭავაძე იშველიებს კლასიკოს პედაგოგთა ნააზრევს, ისეთებისას, როგორებიც არიან: ფრიდრიხ ადოლფ დისტერვეგი, ჰენრიხ პესტალოცი, კარლ რიხტერი, კონსტანტინ უშინსკი და სხვები.

1881 წელს ჟურნალ ,,ივერიაში“ დაბეჭდილ წერილ ,,ბ.ნ. იანოვსკის წერილის გამო“-ში ილია ზემოხსენებული პედაგოგების სიტყვებით ასაბუთებს მშობლიურ ენასა და გარემოში სწავლების აუცილებლობას. ჰენრიხ პესტალოციდან მას მოაქვს შემდეგი ციტატა: „პირველ დაწყებითის ცოდნის მოედნად უნდა იყოს სამშობლო“ (ჭავჭავაძე, 1938:220). ამ სიტყვებით ნათელი ხდება, რომ ილიასთვის ყმაწვილის პატრიოტული აღზრდის უმთავრესი პირობა პირველდაწყებითი ცოდნის სამშობლოში მიღებაა. ყოველი ადამიანი ერთი რომელიმე ქვეყნის შვილია, სადაც იზრდება და მშობლიურ გარემოცვაში ყალიბდება. სწორედ მშობლიურ გარემოში მიღებული ცოდნაა მყარი და

ჭეშმარიტი. ილიას აზრით, ის რაც ბავშვისთვის მშობლიური და ახლობელია, ის რაც მისთვის ცნობილია, იოლად შეისწავლება მის მიერ. ასე მიღებული ცოდნა გაცილებით მყარია და ფართე და ღრმა განათლებისათვის მტკიცე საფუძვლის მიმცემი.

დისტერვეგის მოსაზრებებიდან ილია იშველიებს შემდეგ ციტატას: „კაცს გულში გამოუკვანძეთ მისი პატარა სამშობლო, გზა გაუხსენით, რომ არამც თუ მარტო შეისწავლოს, არამედ შეიყვაროს კიდეც იგი სამშობლო, მისი განსხვავებული თვისება, მისი განსაკუთრებული ხასიათი. ამით ნუ გგონიათ, რომ ხელს უმართავდეთ პროვინციალურს პატრიოტობას, არამედ გაუმაგრებთ ადამიანს ფესვებს ადამიანის სულის ღონისას. ეგ ფესვები მის სამშობლოს მიწა-წყალშია, მის მოძმეთა განსაკუთრებულ ხასიათშია, მათ ისტორიაშია. ყოველ სასიხარულოდ უნდა მიაჩნდეს, როცა თვითეულს ადამიანში კაცი პოულობს განსაკუთრებულს თვისებას მისის ქვეყანისასო“ (ჭავჭავაძე, 1938:220-221)

ილია ეთანხმება დისტერვეგის ამ სიტყვებს და მიიჩნევს, რომ ყოველ ადამიანს თან სდევს და ემჩნევა მისთვის დამახასიათებელი ეროვნული ხასიათის შტრიხები, მასში ჩადებულია ისეთი რამ, რაც უცხოა და რაც განასხვავებს სხვა ერის შვილებისგან. ამ განსხვავებულობას განაპირობებს ყოველი ქვეყნის თავისებური ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა, ქვეყნის ისტორიული წარსული და თანამედროვე ყოფა. აქედან ილია აკეთებს დასკვნას, რომ პატრიოტულმა აღზრდამ უცილობლად უნდა აღჭურვოს ახალგაზრდა სამშობლო ქვეყნის შესახებ სიღრმისეული ცოდნით, ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილმა ახალგაზრდამ კარგად უნდა იცოდეს სამშობლო ქვეყნის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა, მისი წარსული ისტორია, რაც მას შეაძლებინებს ჩაწვდეს სამშობლოს თავისებურებათა და განსხვავებულობის მნიშვნელობას, ტრადიციების ღირებულებას აწმყო ცხოვრებაში. ეს კი სულიერად განამტკიცებს და გამძლეს გახდის ახალგაზრდას ფიზიკური თუ სულიერი შემოტევების მიმართ. ილია დარწმუნებულია, რომ ადამიანის განუყრელ თვისებას წარმოადგენს სამშოლოსა და ქვეყნის სიყვარული.

ილიასთვის სრულიად მისაღებია გერმანელი პედაგოგის კარლ რიხტელის სიტყვები: „როგორც ჩვენის საკუთარის ერის პატივისცემაში ვსწავლობთ სხვა ერის

პატივისცემასა, ჩვენის ქვეყნისაში - სხვა ქვეყნებისას, ისეც პატივისცემა პატარა ნაწილისა მთელის პატივისცემას გვასწავლის“ (ჭავჭავაძე, 1938:221). ილია ფიქრობს, რომ სხვა ქვეყნებისა და ხალხის სიყვარული პატრიოტულ გრძნობას არ აკნინებს და ამცრობს. პირიქით, სწორედაც სამშობლოს სიყვარული გვასწავლის სხვა ერების სიყვარულსა და დაფასებას, ვინაიდან მშობლიურ წიაღში დაბადებული სამშობლოს სიყვარული სხვათა სამშობლოს პატივისცემის საყრდენი ხდება.

ილია იზიარებს და თავის წერილში ,,ბ.ნ. იანოვსკის წერილის გამო“-ში ციტირებს უშინსკის შემდეგ სიტყვებს: ,,არის მარტო ერთი საზოგადო, დაბადებითვე დაყოლილი მიდრეკილება, რომელზედაც აღზრდას (სკოლას) ადამიანისას შეუძლიან ყოველთვის დაემყაროს, - ეგ ის არის, რასაც ჩვენ ვეძახით ეროვნებას. როგორც არ არის ადამიანი, რომ არ უყვარდეს თავისი მამული, თავისი ქვეყანა. ისეც არ არის ადამიანი, რომ არ უყვარდეს თავისი მამული. აი ეს სიყვარულია ის უტყუარი გასაღები ადამიანის გულისა, რომელსაც აღზრდა (სკოლა) უნდა ხმარობდეს. ეროვნობაზე დამყარებული ბავშვის აღზრდა ყოველთვის იპოვის პასუხს და შემწეობას მაგ ცოცხალს და ძლიერს სიყვარულში“ (ჭავჭავაძე, 1938:221). ილიას პატრიოტული შეხედულებები სწორედ მსგავს მოსაზრებას მისდევს, რომელსაც ადამიანური სიყვარულის მთავარ ღერძად და საყრდენად სამშობლოს სიყვარული მიაჩნია. ეროვნებაზე დამყარებული ბავშვის აღზრდა, აი, რა მიაჩნია აღზრდის მიზანთა შორის მნიშვნელოვნად ილია ჭავჭავაძეს.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, მის პროზასა თუ პოეზიაში, უმთავრეს ადგილს პატრიოტული თემატიკა იკავებს. საქართველოს ახლანდელი მდგომარეობის სრულყოფილი ანალიზისას ქართველ ხალხს აწ დამსხვრეული სა-ქართველოს აღდგენასა და გადაგვარებული ეროვნული გრძნობის განკურნებას უსახავს მიზნად. საქართველო უნდა აღდგეს თავისი ძველებური ძლევამოსილებითა და სრულყოფილებით - ეს მოთხოვნილება ღვივის ილიას მთელს შემოქმედებაში (ღვინჯილია, 1989: 245).

ილია ჭავჭავაძისთვის მისაბაძია ის დრო, როდესაც

“ქართვლის დედაო! ძუძუ ქართლისა

უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;

დედის ნანასთან ქვითინი მთისა

მას უმზადებდა მომავალ გმირსა ...“

(ჭავჭავაძე, 1984:49).

ილიასთვის ქართველი დედის უმაღლესი დანიშნულება და საღვრთო ვალი ქრისტეს მცნებებზე, კაცთა სიყვარულით შთაგონებული, ერთობისა და ქვეყნის თავისუფლებისათვის შეწირული, ძლიერი სულის მატარებელი შვილის აღზრდაა. ეს აზრია გატარებული ლექს ,,ქართვლის დედას“ შემდეგ სტროფში:

,,აქ არის დედავ, შენი მაღალი

დანიშნულება და საღმრთო ვალი!

აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,

საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,

შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,

ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“.

(ჭავჭავაძე, 1984:49)

მარტო ეს სტროფი კმარა იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ, რა მიაჩნდა ეროვნულ-პატრიოტული აღზრდის მთავარ მიზნად დიდ ილიას.

საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეების მატარებელია ილიას დრამატული პოემა ,,ქართვლის დედა“. ეს პოემა საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლისაკენ მოწოდებაა. ავტორს სამშობლოს განთავისუფლების საქმე წარმოდ-გენილი აქვს, როგორც შედეგი ხალხის გამოღვიძების, აღდგომისა და ბრძოლისა. პოემა დედის მონოლოგით იწყება:

,,...ჩემი მამული საქართველო დღეს მიცოცხლდება!

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,

კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ჰფიქრობს, -

და ეს ფიქრია მთელი კავკასის თავისუფლება!...

დიდია ხალხი, როს ეგ გრძნობა წინ წარუძღვება!“ (ჭავჭავაძე, 1984:122-123)

სამშობლოს სიყვარულითაა გაჟღენთილი შვილის სიტყვებიც:

,,... მოვიდა დიდ ხნის სანატრელი, დედავ, ამბავი,

ჩემი მამული საყვარელი გაღვიძებულა!“ (ჭავჭავაძე, 1984:123)

ამ პოემის მთავარი მომენტი იმაშია, რომ დედამ არა თუ სწორად შესძლო შვილის აღზრდა და პატრიოტული აღზრდის უმთავრესი მისია - შვილისთვის სამშობლოს უანგარო და თავშეწირული სიყვარულის სწავლება, არამედ თავად წარმოჩნდა, როგორც მთავარი მომქმედი გმირი, რომელმაც თავისი ერთადერთი შვილი, ერთადერთი იმედი და სასო სამშობლო ქვეყანას, საყვარელ მამულს დაუთმო და სულიც დალია:

,,ეჰა, ამ დღისათვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,

სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი“ (ჭავჭავაძე, 1984:128).

ასეთივე იდეებით ჟღენთავდა ილია ქართველი სტუდენტობის სულსა და გრძნობას: მისი აღზრდის ერთ-ერთ პრინციპად მიაჩნდა პატრიოტული მოტივი:

„მამულისა შვილნი ჩვენც ვართ,

და მიტომ ვზრდით ჭაბუკ სულსა,

რომ ოდესმე გამოვადგეთ

დაობლებულს ჩვენს მამულსა“.

სამშობლოს სიყვარული, ილიასათვის, თავისუფლების სიყვარულის სინონიმია. ყველგან, სადაც მამულისათვის თავდადებაზე ლაპარაკობს, ლაპარაკობს აგრეთვე „ძმობა-ერთობა-თავისუფლებისათვის“ თავგანწირვაზე და ქართველ დედასაც მოუწოდებს შთააგონოს ბავშვს „თავისუფლება კაცთა ნავთსაყუდარი, ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი“(ჭავჭავაძე, 1938:59).

პეტერბურგიდან ოთხი წლის დაშორების შემდეგ, სამშობლოში მომავალი მწერლის გონება, ფიქრი და ოცნება ერთ საგანს დასტრიალებდა - ეს იყო სამშობლო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი: “როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის, იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს როგორც უცხო ნიადაგზე გადარგულსა და აღზრდილსა?“ - წერდა ილია ,,მგზავრის წერილებში“. სამშობლოში დაბრუნებული ილიას მიზანი იყო დავრდომილი ქვეყნისათვის სანუგეშო სიტყვა ეთქვა, ხალხში იმედის ნაპერწკალი მოენახა და გაეღვივებია, ერთად შეეგროვებია და ბრძოლის კოცონად

ექცია. მხოლოდ მაშინ არ ჩათვლიდან უქმად რუსეთში გატარებულ ოთხ წელს (ბასილაძე, 2013:128). რეალურ საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა სამშობლოში ახლად დაბრუნებული დიდი ილიას შიშები. ქართველმა ხალხმა მშობლიურად მიიღო და გულში ჩაიკრა იგი, რადგანაც, „უცხო ნიადაგზე გადარგული და აღზრდილი“, სამშობლოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეებით დაუბრუნდა, რომლის განხორციელებისთვისაც დაუღალავი და თავგანწირული ბრძოლისთვის იყო მზად.

საქართველოში დაბრუნებულმა განათლებულმა მწერალმა უფრო მწვავედ იგრძნო სამშობლოს დაბეჩავებული, ეროვნულ თავმოყვარეობა შელახული ქვეყნის მდგომარეობა და სოციალ-პოლიტიკური ატმოსფეროს სიმძიმე, რომელიც სიცოცხლეს უმძიმებდა და სულს უხუთავდა ყოველ, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს, „მძიმე საცხოვრებელია ეს ჩვენი ქვეყანა გონიერი კაცისათვის, რომელიც თავის თავის გარეითად, სხვაზედაც ფიქრობს, სხვაზედაც სწუხს. ის ჩვენში ფრთას ვერ გაშლის, სულს ვერ მოიბრუნებს“ - წერდა ილია 1962 წელს (ჭავჭავაძე, 1938:60).

პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა ჩვენი ერის არსებობის თითქმის ყველა ეტაპზე იყო დამახასიათებელი. ეს კარგად ჩანს ილიას პოემაში ,,მეფე დიმიტრი თავდადებული“. როცა ახალმა ყაენმა მეფე დიმიტრის შემოუთვალა: ,,გამოცხადდი ჩემ-წინ შენო, თუ არ მოხვალ, შენ ქვეყანას ნაცარ-ტუტას ავადენო“. მეფე დიმიტრი არჩევანის წინაშე დადგა - დაეკმაყოფილებია ყაენის თხოვნა და გამოცხადებულიყო მასთან, თუ თავი გადაერჩინა და სამშობლო გაეწირა. იგი თავისუფალი იყო ამ არჩევანში, თუმცა მეფემ სამშობლოსათვის თავის გაწირვა არჩია. როცა იგი სამგზავროდ გამზადებული მღვდელმთავრებთან და დიდებულებთან ერთად საზოგადოების წინაშე წარსდგა, ხალხი მას ტირილითა და ვაი-ვიშით შეხვდა. დამსწრე საზოგადოება მას სთხოვს არ წავიდეს საყაენოში, რადგანაც ეს უცილობელ სიკვდილს ნიშნავს. თუმცა მეფე დიმიტრი მათ შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

,,თუ სიკვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის - ერისათვის,
მაშ რადმიშლით თავდადებას
მე ერთს - მთელის ერისათვის!...“

მეფე დიმიტრის ეს სიტყვები საუკეთესო საშუალებაა ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათის (ბასილაძე, 2017:28-29).

პოემა საინტერესოდ გრძელდება და პატრიოტიზმის ახალ მაგალითს იძლევა. ბრბო ირღვევა და მეფის წინაშე წარსდგება თეთრწვერა მოხუცი, რომელსაც ორი ვაჟკაცი ამოსდგომოდა მხარში. ის მეფეს სთხოვს უარი სთქვას საყაენოში წასვლაზე და მხნედ შეებრძოლონ მტერს:

,,აჰა, მეფეე, ორი ბიჭი, მხრებში, რომ ამომჯდომია,

ორივ ჩემი შვილი არი, ერთი მეორეს მჯობია;

მიირთვი და ინაცვალე, ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!

ომში, მეფეე, გაჩვენებენ, რა ლომებს ზრდის ქართვლის ბუდე“.

ილიას შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ასეთი თავგანწირვის მაგალითები. გმირია ეს მოხუცი, ის სამშობლოს სწირავს მას, რაც ყველაზე ძვირფასია ადამიანისთვის - საკუთარ შვილებს. ილიას ამ ერთ პოემაში უდიდესი პატრიოტული მუხტი აქვს ჩადებული. ვერაფერი, ვერც შვილების და ვერც საკუთარი თავის სიყვარული ვერ გადაწონის სამშობლოს სიყვარულის განუზომელ ძალას.

ერის წინაშე სახელოვან მამულიშვილთა ღვაწლისა და ამაგის წარმოჩენას აქვს უდიდესი აღმზრდელობითი მუხტი. ძნელბედობის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა ისეთი კულტურული ფასეულობები შექმნეს, რომლებიც ამშვენებს არა მარტო ჩვენს, არამედ კაცობრიობის მატერიალურ და სულიერ საგანძურს (ზოიძე, 1988:8-9).

ილიას პატრიოტიზმი არასოდეს დასულა შოვინიზმის დონეზე. საკუთარი ქვეყნის სიყვარული, მას სხვა ერების დაფასებასა და პატივისცემაში არ უშლიდა ხელს. მიუხედავად ილიას ამ აშკარა ბუნებისა, ზოგი მის ,,ქვათა ღაღადს“ შოვინისტურ ნაწარმოებად ნათლავდა. რაზეც ილია მართალი წერდა: ,,ჩვენში ჩვენგან მთელი სომხობა, როგორც ერი, თავის დღეში არ გაკიცხულა... და არც ავად ხსენებულა“... ,,ვერც ჩვენს ლიტერატურაში, ვერც ჩვენს საზოგადოებაში ერთს მაგალითს ვერ გვიჩვენებენ, რომ ქართველი ავად იხსენიებდეს მთელს სომხობასა, მის

ინტელიგენციასა, რომელზედაც დამყარებული აქვს სომხობას მთელი თავისი სამართლიანი სასოება“ (ჭავჭავაძე, 1988:63).

ილია მშობელი ქვეყნის განუზომელ სიყვარულთან ერთად, სხვა ერების სიყვარულსა და პატივისცემასაც ქადაგებდა თავის ნაწერებში: ,,ეხლანდელ დროში დევნა და ძულება ეროვნული, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად არ გვეცხოვრებაო, მარტო ბრიყვისა და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველი პატიოსანი და გონებაგახსნილი კაცისაგან“ (ბაიაძე, 1979:304-305). ნამდვილ მეცნიერებას, ხელოვნებას და საერთოდ ყოველ გონივრულ ნაწარმოებს საშინლად ზღუდავს შოვინისტური ბორკილები, ვიწრო გვარ-ტომობრივი კარჩაკეტილობა. ყოველი გონივრული ნაწარმოები საერთაშორისო საკუთრებას წარმოადგენს. შექსპირით, ბაირონით, გოეთეთი, რუსთველით, პუშკინით, შეუძლიათ იამაყონ მათმა წარმომშობმა ერებმა, მაგრამ ისინი მთელს კაცობრიობას ეკუთვნიან, რადგანაც მათ ყველა კითხულობს, განურჩევლად ეროვნებისა, ყველას დიდ ესთეტიურ სიამოვნებას გვრის და მხატვრული სახეებით აზროვნებას აჩვევს. ილია ლაპარაკობს რა მეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის საერთაშორისო ხასიათზე, აღნიშნავს, რომ მან „მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამ რიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის“. მეცნიერებების შეთვისება მხოლოდ მაშინ ახდენს პიროვნების განვითარებას, როდესაც შემთვისებელი კრიტიკულ ქარ-ცეცლში გაატარებს, გაიაზრებს და მხოლოდ ცნობიერად მიიღებს ან უარყოფს მას (ჭავჭავაძე, 1938:61-62).

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე აღზრდის მიზანთა შორის განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ეროვნულ-პატრიოტულ აღზრდას. პატრიოტული აღზრდის უშუალო მიზნად ახალგაზრდებისათვის სამშობლოს უანგარო სიყვარულის სწავლებას ასახელებს. ილია ახალგაზრდების პატრიოტულ აღზრდას თავის შემოქმედებაში სახელოვან მამულიშვილთა ღვაწლისა და თავდადების წარმოჩენით აღწევდა. ისტორიზმის გათვალისწინებით თავისი დროის უმთავრეს პატრიოტულ მიზნად ,,დაცემული

ვინაობის აღდგენას“ მიიჩნევდა, რომლის მიღწევაც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებამდე მიიყვანდა. სწორედ ამ ბრძოლისთვის გამოსადეგი ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდა იყო მიზანთა შორის უდიდესი.

3.5. პროფესიული განათლება

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ შეხედულებებში აღზრდის მიზანთა შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ახალგაზრდობისათვის სასოფლო-სამეურნეო განათლების მიცემის საკითხი.

ილია ჭავჭავაძესთვის აშკარა იყო, რომ ქვეყნის გაძლიერება, მისი ფეხზე დაყენება, ეროვნული მიზნების მიღწევა და კულტურული წინსვლა შეუძლებელი გახდებოდა ეკონომიკის განვითარების გარეშე. ილია ყველაფერს აკეთებდა ამისთვის, რაც მის ძალასა და შესაძლებლობას ექვემდებარებოდა. ის იბრძოდა, რათა აღმოეჩინათ ნედლეულის ახალი საბადოები და დაწყებულიყო მათი ექსპლუატაცია, აქტიური გამხდარიყო მადნეულობის ძიება და გადამუშავება ქვეყანაში, ასევე სოფლის

მეურნეობაში დანერგილიყო ახალი კულტურები და მისი დროისთვის ნოვატორული სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ილია სვამდა და თვითონვე პასუხობდა მეტად მნიშვნელოვან შეკითხვას, თუ რა იყო ქვეყნის სიღარიბისა და ეკონომიკური ჩამორჩენის მიზეზი: ,,თქვენში და თვენგან ხშირად გამიგონია, - წერდა ილია, - რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბერტყაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენ თვითონა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული, მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს... მაშ რაღადა ვართ ღარიბნი? - იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით საიდან რა ამოვიღოთ“ (ჭავჭავაძე, 1987:252). ანუ, ილია ქვეყნის სიღარიბის მთავარ მიზეზად ცოდნის ნაკლებობას ასახელებს. ,,ცოდნა, სწავლა-განათლება, დღევანდელი კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც“ - წერდა ილია (ჭავჭავაძე, 1987:268). ილიას აზრით, მხოლოდ მცოდნე კაცს შეეძლო ქვისთვის სიმდიდრის წყარო ამოედინა და ეხეირა, რაც უვიცისთვის სიზმარშიც კი მიუწვდომელი რჩებოდა.

ილია მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე განათლების ხელმისაწვდომობისთვის იღწვოდა. სწორედ ეს იყო 1979 წელს ილიას ინიციატივით დაარსებული ,,წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ უმთავრესი მისია. აღნიშნული საზოგადოების 15 მაისით დათარიღებულ დამფუძნებელი სხდომის ოქმში ვკითხულობთ შემდეგს: ,,ეს საზოგადოება თავის დანიშნულობის აღსასრულებლად მოჰკიდებს ხელს არა მარტო სასოფლო შკოლების გამართვას, არამედ დააარსებს აგრეთვე სახალხო სამწიგნობროებს, მასწავლებლებს გამოზრდის ან თავისგანვე დაფუძნებულს სასწავლებლებში, ან სხვაგან თავისის ხარჯით; გამართავს ლექციებს ხალხისათვის სხვადასხვა ადგილას...“ (შარაძე, 1987:307).

ბუნებრივია მრეწველობისა და სოფლის მეურნების განვითარება მოითხოვდა ამ საქმის მცოდნე კადრებს, რომლებიც აღჭურვილნი იქნებოდნენ შესაბამისი თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით. ეს ცხადია არ გამოპარვია მხედველობიდან

ილია ჭავჭავაძეს. ის XIX საუკუნის 80-90 წლებში, სამედიცინო და პედაგოგიური განათლების გვერდით მოითხოვდა აგრონომიულ და საინჟინრო პროფესიულ-ტექნიკური განათლების გავრცელებას როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სასწავლებლებში. გამომდინარე იქედან, რომ საქართველო აგრარული ქვეყანა იყო ილიამ მთელი ყურადღება აგრონომიული პროფ-სასწავლებლების გახსნაზე გადაიტანა. ამასთან დაკავშირებით შემდეგს წერდა ილია 1886 წლის 1 მარტს გაზეთ ,,ივერიაში" დაბეჭდილ სტატიაში ,,სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ": „მთელი ამიერკავკასია ძველთაგანვე სცხოვრობს და თავს იკვებავს მარტო იმ მრეწველობითა, რომელიც დამოკიდებულია მიწასა და მიწათმოქმედებაზედ. ერთად ერთი წყარო აქაურის ერის ეკონომიურის არსებობისა საადგილ-მამულო მრეწველობაა და ამაზეა მთლად აგებული სრული ძალ-ღონე გამოკვებისა, სახელმწიფო ხარჯისა და ბეგარის გაძღოლისა გაუჭირვებლად და უნაკლოდ.

ამიტომაც აქ ყველაზე უფრო მომეტებულად საჭიროა ყოველის მხრით, ყოველის ღონისძიებით ხელის შეწყობა, რომ აქაურმა ერთადერთმა მრეწველობამ ერთადერთმა ერის სარჩო-საბადებლის წყარომ გზა გაიხსნას, ავალა იქონიოს და რამდენადაც შესაძლოა, უფრო უხვად იდინოს ერის წარმატებისა და კეთილ-დღეობისათვის" (ჭავჭავაძე, 1987:251).

ილია იქვე აგრძელებს და ასაბუთებს სამეურნეო სკოლების გახსნის აუცილებლობას: „ არა გვგონია ბევრი სხვა ადგილი ისე ჰსაჭიროებდეს მდაბიო სამეურნეო სკოლებს, როგორც კავკასია საერთოდ და ამიერ კავკასია საკუთრივ", რომ, უნდა „გავრცელდეს და მოეფინოს ქვეყანას მამულის მოვლისა და კეთების ცოდნა იმდენად მაინც, რამდენადაც საყოველდღეოდ გამოსადეგი და მოსახმარია მდაბიო მოქმედებისათვის" (ჭავჭავაძე, 1987:251). აქ ილია ხაზს უსვამს, ისეთი პრაქტიკული ცოდნის გავრცელების აუცილებლობაზე, რომელიც ყველასათვის გამოსადეგი იქნებოდა მიწის მოვლა-პატრონობის დროს.

ილია ებრძოდა ყველას, ვინც ეწინააღმდეგებოდა სამეურნეო სკოლების გახსნას და ამ ცოდნის გავრცელებას, ან ვისაც არ ესმოდა სამეურნეო განათლების მიღების საჭიროება. ილია სასტიკად კიცხავს თ.მ. მაჩაბელს წერილში ,,ჩვენი ეხლანდელი

სიბრძნე სიცრუისაში“, რომელსაც ვერ გაერკვია თუ რა საჭირო იყო სასოფლო-სამეურნეო სკოლების არსებობა საქართველოში. მაჩაბელი თვლიდა, რომ საქართველოში სამეურნეო ცოდნა საკმაოდ იყო. ამ აზრის პასუხად ილია შემდეგს წერდა: ,,უმაღლეს სამეურნეო სასწავლებელში ნამყოფი კაცი გვეუბნება, საჭიროა თუ არა სამეურნეო სკოლა, ჯერ ვერ გამიგიაო. მაშ რაღად მირბოდა სამეურნეო სკოლაში, მერე უმაღლესში, თუ გაგებული არა ჰქონდა სამეურნეო სწავლა-ცოდნის საჭიროება? მაშ, როდისღა გაიგებს და გამოარკვევს ამ საჭიროებას, ან ვინ-ღა გამოურკვევს, თუ უმაღლესმა სასწავლებელმაც ვერ გააგებინა, ვერ გამოურკვევია?“(ჭავჭავაძე, 1938:367). „დასაჯერებელი არ არის, - წერდა ილია მ. მაჩაბელის შესახებ, - კაცს უმაღლესი სასწავლებელი გამოევლოს და იქამდე გულისყურ დაბნეული იყოს, რომ ვერ გაეგოს სამეურნეო სწავლა-ცოდნა საჭიროა თუ არა ამისთანა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, რომლის ავლა-დიდება სოფლის მეურნეობაა“ (ჭავჭავაძე, 1938:369).

რა არის საგანი სამეურნეო განათლებისა და სამეურნეო სკოლისა?

ილია სამეურნეო განათლების საგნად სთვლის, რომ მუშა გლეხკაცი ხელობის მცოდნე კაცად გახდეს, სამეურნეო საქმეში დახელოვნდეს და მით პრაქტიკულად გაგებულ მუშად გამოვიდეს. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე სამეურნეო განათლების მატერიალური ბაზის ორგანიზაციას. ასეთი ბაზის შექმნის გარეშე, მისი აზრით, სამეურნეო განათლება ზეპირსიტყვიერ და „განათლებად“ გადაიქცეოდა, რომელიც ჩვენს მეურნეობას ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა. ილია ფართო მასობრივ პროპაგანდას ეწეოდა სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის. უხსნიდა ყველას, რომ ეს არის საშუალება, რომლითაც ხალხს ხელში ეძლევა „ისეთი სახსარი, რომელიც ეკონომიურ ბრძოლას გაუადვილებს და ბუნების, მიწის სიუხვეს არ დაუკარგავს“ (ჭავჭავაძე, 1938:54).

ილია აღფრთოვანებით შეხვდა ილია წინამძღვრიშვილის მიერ წინამძღვრიანთ კარში სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსებას. ამ სასწავლებელს არაერთი წერილი მიუძღვნა ,,ივერიაში“. ,,კაცმა დღეს, რომ ამ სკოლის ყოფა-ცხოვრება თავის თვალით ინახულოს, სწორედ გაოცდება და მართლაც გასაოცებელია. ჰკვირობთ,

როგორ შეძლო ამოდენა ერთმა კაცმა, რომელსაც ამისათვის არც საკმაო შეძლება აქვს საკუთარი, არც მოცლა. ეს დღევანდელი ყოფა სკოლისა მარტო მის გულ-გაუტეხელს მხნეობას, მის ზნეობით ძალ-ღონეს უნდა მიეწეროს... სწორედ სასწაულად მივიჩნიეთ, როცა ამ სკოლის ვითარება და გარემოება ჩვენის თვალით ვნახეთ. მშვენიერი ქვიტ-კირის სახლი, წინა მთიდამ სკოლისაკენ დაქანებული ასის დღის მინდორი, რომელიც სკოლას საკუთრებად დაუმტკიცა სკოლის სულის ჩამდგმელმა და დამაარსებელმა ბ-ნმა ილია წინამძღვრიშვილმა... ვიმედოვნებ, რომ ჭეშმარიტი ქართველი კაცი არ დაიშურებს ამ სკოლისათვის შესაწევარს თავის შეძლებისამებრ. აქ ყოველი გროში დიდი მადლობით მიიღება და ჩვენი ქვეყნის მოზარდს ყმაწვილს მოჰხმარდება მისდა და ჩვენდა საკეთილდღეოდ“(ჭავჭავაძე, 1938:298-300) წერდა ილია ივერიაში 1886 წელს დაბეჭდილ წერილში ,,დავეხმაროდ სამეურნეო სკოლას“.

ილია ჭავჭავაძე მხურვალე სიტყვებით გამოდიოდა სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობისა თუ საქველმოქმედო საზოგადოებების კრებებზე და ყველას აღნიშნული სკოლის მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდა. მაგრამ ამავე დროს ფიქრობდა, რომ კერძო ინიციატივა და არც ცალკეული საზოგადოების ჩართულობა საკმარისი არ იქნებოდა და ამ საქმით უშუალოდ სახელმწიფო უნდა დაინტერესებულიყო. ილიამ მთავრობასაც მიმართა სასოფლო-სამეურნეო სკოლის დახმარების თხოვნით, თუმცა ამაოდ.

ილიას სამეურნეო განათლების მიზნად მიაჩნდა შეგირდისთვის ესწავლებინა პრაქტიკული სახელოსნო საქმე, რომელიც მას სამეურნეო საქმეში დახელოვნებულ და პრაქტიკული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილ მუშად აქცევდა, ,,მუშა გლეხკაცი ხელობის მცოდნე კაცად გახდეს, სამეურნეო საქმეში დახელოვნდეს და მით პრაქტიკულად გაგებულ მუშად გამოვიდეს“ - წერდა ილია, როდესაც სამეურნეო სწავლა-ცოდნის საგანზე მსჯელობდა (ჭავჭავაძე, 1938:54). ილია გაზეთ ,,ივერიის“ ფურცლებიდან აქტიურ პროპაგანდას უწევდა სამეურნეო განათლებას და ,,ივერიაში“ 1886 წელს დაბეჭდილ წერილში ,,წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა“-ში მონდომებით უხსნიდა მისი დროის ქართველობას, რომ ამ ტიპის ცოდნის დაუფლებით მათ ხელში აღმოჩნდებოდა ისეთი საშუალება, ,,ისეთი სახსარი, რომელიც ეკონომიურ ბრძოლას გაადვილებს და ბუნების, მიწის სიუხვეს არ დაუკარგავს“ (ჭავჭავაძე, 1938:54).

ილია ჭავჭავაძეს შესანიშნავად ესმოდა პროფესიული ცოდნის დაუფლების მნიშვნელობა, თუმცა ის შედარებით ვიწროდ ფარგლავდა მას. ილია, როგორც ი. როსტომაშვილი და სხვებიც მოითხოვდა, რომ სამეურნეო სკოლები აგებულიყვნენ დაწყებითი სკოლის ბაზაზე, რათა მოსწავლეებს აქ მოხვედრამდე უკვე ჰქონოდათ ზოგადი განათლების მინიმუმი მიღებული. უშუალოდ პროფსასწავლებელში სხვადასხვა საგნის სწავლა, ილიას მოსაზრებით, ხელს შეუშლიდა ჭეშმარიტი მიზნის მიღწევას ე.ი. მეურნეობის შესწავლას. ამ თემას ილია სიღრმისეულად ეხებოდა, როცა განიხილავდა ი. წინამძღვიშვილის სამეურნეო სკოლის პროექტს - 1881 წლის თებერვლის ,,შინაურ მიმოხილვაში", ,,როგორც დროებაშივე ამბობდა ბ. როსტომაშვილი, ვინც სხვადასხვა სასოფლო სკოლაში სხვებზედ უკეთესად შეასრულებდა სწავლას, ამ სამეურნეო სკოლაში შესულიყო. მაშინ ამ სკოლაში შეგირდები თეორეტიკულადაც და პრაქტიკულადაც მხოლოდ მეურნეობას შეისწავლიდნენ და არ მიჰყვებოდნენ სხვადასხვა საგნების სწავლას, რომელიც უეჭველია, დაუშლის ამ სკოლის ნამდვილ დანიშნულების შესრულებას. მაინცდამაინც თუ ჩვენი აზრი ვერ შესრულდება და ეს სკოლა სამეურნეოც იქნება და პირველ-დაწყებითიც, პროექტში მოხსენებულ ზოგიერთ საგნების სწავლება სრულიად უნაყოფო იქნება. იმედია, არავინ ცუდ განზრახვას არ დაგვწამებს, თუ ვიტყვით , სამეურნეო სკოლაში რუსეთის გეოგრაფიისა და რუსეთის ისტორიის ცალკე სწავლება ვერაფერს სარგებლობას ვერ მოიტანს"(ჭავჭავაძე,1938:215). დღეისათვის ილიას ეს მოსაზრება არ არის გაზიარებული. პროფ. გ. თავზიშვილი და პროფ. ნ. ბასილაძე მიიჩნევენ, რომ სამეურნეო სკოლაში სხვადასხვა არასამეურნეო საგნების შესწავლას, ,,რამდენადაც და რა მოცულობითაც ეს მოსახერხებელი იქნებოდა სამეურნეო სკოლის სასწავლო დროში, არ შეეძლო სკოლის „ნამდვილი დანიშნულების" დაშლა (ჭავჭავაძე, 1938:56). დღეისათვის თანამედროვე პროფესიულ სასწავლებლებში სათანადო მეცნიერების საფუძვლებთან ერთად, ისწავლება სხვადასხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებიც, რაც სწავლის დონეს არა თუ აკნინებს, არამედ მეტ სიღრმესა და მნიშვნელობას სძენს.

სასოფლო-სამეურნეო სკოლების გახსნას ილია მოითხოვდა ისეთ ადგილებში, სადაც მეხილეობა-მევენახეობა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები იყო

განვითარებული და მოსწავლეებს საფუძვლიანი ცოდნის მიღების უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებოდათ. იგი სტატიაში ,,ხილნარობისა და მევენახეობის სასწავლებელთა შესახებ“ აკრიტიკებს ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილის ავტორს, რომელიც ამტკიცებს, რომ ,,რიონის ვაკე მშვენიერს ხილსა და ბლომად ყურძენს იძლევა“, ილიას აზრით, კი ასეთ ღვთისაგან დალოცვილ ადგილს წარმოადგენს ქართლი და კახეთი (ბასილაძე, 2017:42). ამრიგად, ილიასთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების გეოგრაფიულ მდებარეობასა და მოსწავლეთათვის შესაბამისი პირობების შექმნას, რათა მათ საფუძვლიანი ცოდნის მიღების საშუალება ქონოდათ.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე აღზრდის მიზანთა შორის თვალსაჩინო ადგილს უთმობს ყმაწვილთა პროფესიულ განათლებას. პროფესიული განათლების საგნად კი, ახალგაზრდებისათვის პრაქტიკული სახელოსნო და სამეურნეო ცოდნის მიცემას მიიჩნევდა.

3.6 თვითმოქმედებისა და პირადი ინიციატივის უნარის გამომუშავება

ილია ჭავჭავაძე აღზრდის მიზანთა შორის აყენებს თვითმოქმედების უნარის გამომუშავებას, რომლის გარეშეც ადამიანი პირად ინიციატივასა და კრიტიკულ აზროვნებას არის მოკლებული. ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, როდესაც ის ახერხებს საკუთარ და სხვათა შეხედულებების შეჯერების საფუძველზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას.

ადამიანის სრულყოფილად აღზრდის ერთ-ერთ ნიშანს შეგნებული ცხოვრების უნარი წარმოადგენს. შეგნებული ცხოვრების ეს თვისება ადამიანში დაბადებიდანვე არ არის მოცემული და მისი ჩამოყალიბებისა და სრულყოფისათვის ხანგრძლივი წვრთნა და ვარჯიშია საჭირო (გოგოალაძე, 1974:12). შეგნებული ცხოვრება გულისხმობს ადამიანის მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, როდესაც ის ახერხებს შიშის, სიზარმაცის, უპასუხისმგებლობის დათრგუნვას, ახერხებს სამომავლო მიზნების დასახვას, რისთვისაც ახდენს საკუთარ ძალთა მობილიზებას და ამ ძალების დროისა და ვითარების გათვალისწინებით კონკრეტული მიზნისაკენ მიმართვას (თურმანიძე, 2015:46).

თვითმოქმედების უნარის განვითარებაზე საუბრობდნენ აღორძინების ხანის პედაგოგებიც. ფრიდრიხ დისტერვერგი ზოგადადამიანური აღზრდის იდეას აყენებდა. აღზრდის უმაღლეს მიზნად თვლიდა ,,ისეთ თვითმოქმედებას, რომელიც ჭეშმარიტებას, სილამაზესა და სიკეთეს ემსახურება“ (გობრონიძე, 2000:104).

ილია ჭავჭავაძეს თვითმოქმედება ისეთ თვისებად მიაჩნია, რომელიც ადამიანს ათავისუფლებს სხვაზე დამოკიდებულებისაგან. სწორედ ამ თემას უძღვნის ილია 1886 წლის 12 მაისს გაზეთ ,,ივერიაში“ დაბეჭდილ წერილს ,,თვითმოქმედება - ახალთაობის აღზრდის საქმეში“.

„თვითმოქმედება, თავის თვისით საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა - ისეთი თვისებაა ადამიანისათვის, ურომლისოდაც იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი, არც ცალკე კაცს, არც საზოგადოებას ერთად უამთვისებოდ არ ძალუძს სთქვას: მე ვარ და ვცხოვრობო. უამთვისებოდ ერთიც და მეორეც სათრეველაა და არა თვითონ მავალი. კაცი თუ საზოგადოება, რომელიც თვით არ მოქმედებს, თვით საკუთარის თაოსნობით ჭირს არ ებრძვის, მეტნაკლებობისაგან დახსნას თვით არ ეტანება, თავის სვებედსა

თვითონ არ იურვებს, იგი ტვირთია, იგი მეტი ბარგია ამ ქვეყნიერებაზედ. კაცს თუ საზოგადოებას არ ეძლევა რა ამ წუთი სოფელში უშრომელად, გაურჯელად. მარტო იგი შრომა, იგი გარჯა ნაყოფიერი, რომლის საძირკველიც, ანუ სათავე საკუთარი თაოსნობაა და ძალ-ღონე კიდევ საკუთრი მარჯვენაა. არამც თუ საზოგადო საქმეში კერძო კაცის ცალკე ცხოვრებასაც რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ, რომ არსებობისათვის ბრძოლასა და ჭიდილში მარტო იგია გამარჯვებული, ვინც თვით არის საქმის თაოსანი, საქმის ამჩენი და საქმის მომქმედიცა: ვინც თავის თავზეა მარტო დანდობილი და თავის საკუთარს მხნეობას და გარჯას სახავს თავისის ცხოვრების განკარგებისა და წინ წაწევისად“ (ჭავჭავაძე, 1938:296). ამ ამონარიდიდან კარგად ჩანს, თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებს ილია ადამიანის მიერ საკუთარი საქმის თავად გაძღოლასა და მოქმედებას. მიიჩნევს, რომ მარტო ასე შეუძლია ადამიანს გამარჯვებული გამოვიდეს არსებობისათვის გამართულ ბრძოლასა და ჭიდილში.

,,ეს თვითმოქმედება, ეს თავით თვისით საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა, რაკი ერთხელ აღფრთოვანდება და დაიძვრის, რაკი ერთხელ შაებმის ხოლმე ცხოვრების უღელში, მისი გამარჯვება, ძლევა მოსილობით სვლა უეჭველია. მართალია, ეს თვით-მოქმედება ხან-დის-ხან ათასნაირ, მოსალოდნელ და მოულოდნელ მიზეზთაგან შეფერხდება ხოლმე, მაგრამ ბოლოს კი მაინც თავისას გაიტანს და ამაშია მისი სიკეთე და ღირსებაცა. საითაც უნდა მიიხედოთ, რომელი ქვეყანაც გინდათ გასინჯოთ, ყველგან ერთს უცილობელს ჭეშმარიტებას დაინახავთ: იგი ქვეყანაა უფრო ბედნიერი, უფრო ღონიერი სულითა და ხორცით, რომელსაც თვითმოქმედება გაძლიერებული აქვს და ყოველის მოძრაობის-სათავედ შეუქმნია. პირ-იქით, საცა ეგ თვითმოქმედება გაღვიძებული არ არის , იქ კერძო კაციც ცალკე და საზოგადოებაც საერთოდ ფერმკრთალია, უღონო და ცოცხალ-მკვდარი“ (ჭავჭავაძე, 1938:296). ამ სიტყვებით ილია აკონკრეტებს, რომ ცალკეულ პირთა თვითმოქმედება ერთობლიობაში მთელი საზოგადოების და საბოლოოდ მთელი ქვეყნის სიჯანსაღის, ბედნიერებისა და წარმატების საწინდარია. ქართველ ხალხს, მის პროგრესულ ნაწილს უნდა შეეგნო, რომ თავის მოტყუებით, გულუბრყვილოდ სხვისი დახმარების მოლოდინით აზიანებდნენ ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეს. მხოლოდ

თვითმოქმედებით, საკუთარი ძალების კონსოლიდირებით და მობილიზაციით შეიძლებოდა სანუკვარ მიზნამდე მისვლა.

ილია გულისწყრომით იხსენიებს ძველსა და მისი დროის უდარდელობას დიდი საზოგადოებრივი და აქტუალური პრობლემებისადმი. ის საყვედურით აღნიშნავს, „ტკბილმა მამა-პაპურმა ძილმა დაგვღუპა ჩვენ და ყველგან მოუწოდებს ახალგაზრდობას დასტოვონ ძველი ტრადიციები, ადათები და ჩვეულებანი, რომლებიც ეხლა ძალზე ბორკავენ ჩვენ წინსვლასა და განვითარებას. მხოლოდ ინიციატური შრომისა და აქტიური თვითმოქმედების საფუძველზე შეგვიძლია ჩვენ დავაღწიოთ თავი ძველებურ თვლემას, მამაპაპურ ძილს და სხვისი იმედით ცხოვრებას. თვითმოქმედება, ამავე დროს, ილიას მიაჩნია საჭირო მაგარი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის აღზრდისათვის, რომლებიც, მისივე აზრით, აღზრდის განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ (ჭავჭავაძე, 1938:67), „თვითმოქმედებას არამც თუ მარტო პირდაპირი სარგებლობა მოაქვს ხორცისათვის, ამასთან იგი იმისთანა სკოლაც არის, საცა იწურთნება ყოველი მოზარდი, იზრდება ახალი თაობა, საცა მოზარდის, ახალი თაობის ძალ-ღონეს ნაჭედის სიმტკიცე და სიმაგრე ეძლევა, როგორც რკინას სამჭედურში. ამ მხრივ თვით–მოქმედება ცალკე კაცისა, თუ საზოგადოებისა უებრო რამ არის და ვერაფერი ვერ აღემატება, მაგიერობას ვერაფერი ვერ გაუწევს კაცს არსად და არას დროს“(ჭავჭავაძე, 1938:297). ასე, რომ ილიასთვის თვითმოქმედება აუცილებელი პირობაა, რათა გამოიწრთოს ახალგაზრდის ძალა, ნებისყოფა და სიმტკიცე. მას უდიდეს აღმზრდელობით ფუნქციას აკისრებს მწერალი.

ილია სწავლა-განათლების ამოცანათა შორის ერთის მხრით აღიარებს მოსწავლის შრომას თვითმოქმედების გამოწვევა-განვითარებისათვის, ხოლო მეორეს მხრით - თვითმოქმედებას შრომის გაძლიერებისა და ნაყოფიერებისათვის (ჭავჭავაძე, 1938:68).

ამავე თემაზე მსჯელობდა ილია 1877 წელს ჟურნალ ,,ივერიაში“ დაბეჭდილ სტატიაში ,,საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვისში“. ილია წუხდა, საქართველოს სვე–ბედზე და წერდა, რომ დროთა სიავემ სხვაზე დამოკიდებული გახადა ქართველი ხალხი, რამაც თვითმოქმედების თვისება და უნარი დათრგუნა

მასში. ერის ხსნას თვითმოქმედებასა და ერთობაში ხედავდა მწერალი, „დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა. სხვაზედ იმედს შეგვაჩვია და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც, თუკი სადმე არის, ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც. ხსნა ჩვენი თვითმოქმედებაში და ერთობაშია. საცა კაცი თვითონ არ არის, სხვისით არა გაკეთებულა რა; საცა ერთი ვერას იქმს, იქ ოცსა და ორმოცს ერთად შეუძლიან ქმნას“(ჭავჭავაძე, 1938:150).

ილია წერილს ამთავრებს მოწოდებით, ,,გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზე მიგდება, ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილისა და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შობილა ამ ქვეყნიერობაზედ სიკეთე და ძალ–ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ“ (ჭავჭავაძე, 1938:151). ილიასთვის თვითმოქმედება პატრიოტულ გრძნობასთანაა კვეთაში, კარგად ესმის ამ უღლის ტარების სიმძიმე, მაგრამ მის გარეშე სიკეთისა და თავისუფლების მიღწევა შეუძლებლად მიაჩნდა მწერალს.

თვითმოქმედების შედეგად ადამიანს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, რომლის გარეშეც, „ყოველი აზრი, – წერს ილია, – მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია“ (ჭავჭავაძე, 1938:344). კრიტიკული აზროვნებით ადამიანი ახერხებს შემოქმედებითი ძალა მისცეს აზროვნებას, გახადოს იგი გონებამახვილი და სიახლეების აღმოჩენის მიმართ ღია. ასეთ დროს ადამიანს ეზრდება რწმენა საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ.

პრინციპული კრიტიკა განვითარების აუცილებელ პირობად მიაჩნია ილიას. ,,ბოროტების ღიარება ნახევარი გასწორებაა“-ო წერს იგი. კრიტიკა, სხვა საშუალებებთან ერთად, დამცველი უნდა იყოს იმ ღვთაებრივი საუნჯისა, რაც მემკვიდრეობით გადმოცემულა წინაპართაგან. კრიტის როლის შესახებ ილია ბრძანებდა: კრიტიკა არის ნიშანი საზოგადოების განვითარების უმაღლესი დონისა,

პროდუქტი საზოგადოების აზრიანობისა, გონებრივი თვითმხედველობისა (ხუციშვილი, 1987:17-18).

კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობაზე წერდა ილია 1989 წელს გაზეთ ,,ივერიაში“ დაბეჭდილ სტატია ,,ქალთა განათლებაში“, სადაც ვკითხულობთ, რომ, ლიტერატურის ზემოქმედებამ ,,მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარ–ცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამ–რიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის. ამნაირი კაცი კაჭკაჭია და ირა ჭეშმარიტი წარმომადგენელი მის მიერ ქადებულის აზრისა, რომელიც თუ სხვისაგან დაუჩემებია, კრიტიკის ძალით უნდა უსათუოდ თავისად გარდაექცია“(ჭავჭავაძე, 1938:344). ამ სიტყვებით ილია პირდაპირ მოითხოვს მკითხველისაგან წაკითხულის კრიტიკის ქარ–ცეცხლში გატარებას, რათა არ დაემსგავსონ სხვათა აზრების მხოლოდ გამხმოვანებლებს, რომელთაც საკუთარი აზრი და შეხედულება არ გააჩნიათ.

კრიტიკული აზროვნების გარეშე ილიას წარმოუდგენლად მიაჩნდა ადამიანის თავისუფალი აზროვნება ,,უამისოდ (იგულისხმება კრიტიკული აზროვნება – მ.მ.) ზემოქმედება უძლიერესისა უღონოზედ, უკეთესისა უარესზედ მარტო ცარიელი მაიმუნობაა, სხვის ფეხის ხმაზედ ბრმად აყოლაა, ტყვეობაა და არა თავისუფლება თვითმოქმედება გონებისა, რომელიც ერთად–ერთი ნიშანია ჭეშმარიტის განათლებულობისა და აღმატებულობისა“(ჭავჭავაძე, 1938:344), წერდა ილია ,,ქალთა განათლებაში“.

ილიასთვის კრიტიკული დამოკიდებულება სიახლეების გენერატორია, რომელიც ახალგაზრდობას უბიძგებს ენერგიულად მიჰყვეს მეცნიერების განვითარებას, რათა მუდმივად იყოს უკანასკნელი მიღწევების კურსში „თორემ, წერს ილია, - აქაო და ამ ოცდაათ წლის წინად ამა და ამ საგანზე ესა და ეს ითქვაო და დაიუინონ, ეს არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა და ლიტერატურისაო, მაშინ როდესაც უკანასკნელი სიტყვა დღეს სულ სხვაა, უჯიათობა და ჭირვეულობა იქნება ერთხელ და ერთხელ შებორკილებულ და დატყვევებულ გონებისა“ (ჭავჭავაძე, 1938:345).

ზემოთქმული სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს ილიას არ სწამდა ძლიერი ავტორიტეტების, რომლებიც ,,ყოველთვის იქნება მეცნიერებაშიც და ცხოვრებაშიც“ და ჭეშმარიტი მეცნიერული ავტორიტეტები, რომლებიც შესწავლილი და გამოყენებული უნდა იქნენ ახალგაზრდების მიერ. ავტორიტეტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებიდან, ილიას აზრით ,,სრულებით ის არ გამოდის, რომ ავტორიტეტობა ეხლა შემუსვრილია და თაყვანისცემა მისი უგუნურობად ცნობილი“. ასეთი შეხედულება მას უმეცრებად მიაჩნია და ყველა დიდი, ჭეშმარიტი მეცნიერისა და ლიტერატურის ავტორიტეტისადმი დიდ პატივისცემას მოითხოვს და მათი ღირსეული შესწავლისაკენ მოუწოდებს ჩვენს ახალგაზრდობას. ვინ არიან ეს საიმედო ავტორიტეტები? - „ ავტორიტეტი მეცნიერებაში ის კაცია, რომელსაც მის მიერ შეთვისებულს მეცნიერებაში გაუთქვამს სახელი და მოუპოვებია ნდობა იმდენად შეურყევლად და უცილობელად, რომ ერთიც და მეორეც საკმაო თავდებია მისის აზრის შეუცდომლობისა“, და „როცა უტყუარად და კარგად შემოწმებულის საბუთით დამტკიცდება, რომ მისი ნათქვამი გამართლდა“. ასეთი ავტორიტეტები უნდა იწამო, ილიას აზრით, მათ უნდა ენდო, მათგან უნდა ისწავლო და ღირსეული პატივისცემით მოეპყრა (ჭავჭავაძე, 1938:70).

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე ადამიანის ჰარმონიულად აღზრდა–განვითარების მნიშვნელოვან მომენტად მიიჩნევს თვითმოქმედების, პირადი ინიციატივისა და კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავებას. ეს უნარები ილიასთვის უმნიშვნელოვანესია ადამიანის დამოუკიდებელი, შეგნებული და სხვათა აზრების გავლენისაგან თავისუფალი ცხოვრებისათვის. ილიას სწამდა, რომ ცალკეულ პირთა თავისუფლება საბოლოოდ ეროვნულ თავისუფლებამდე მიიყვანდა ქვეყანას, ამდენად ზემოაღნიშნულ თვისებებს პატრიოტული დანიშნულებაც გააჩნდა. როგორც წინა თავებში ავღნიშნეთ, ილია მისი დროის აღზრდის უმთავრეს მიზნად დაკარგული ეროვნული ღირსების აღდგენას მიიჩნევდა, ამ მიზნის მიღწევას კი სწორედ ინიციატივიანი, კრიტიკული აზროვნებით აღჭურვილი ძლიერი გონების ახალგაზრდები შეძლებდნენ.

3.7. მომავლის პერსპექტივის შექმნის ამოცანა

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ ნააზრევში აღზრდის მიზანთა შორის დასახელებულია ახალგაზრდობისათვის მომავლის პერსპექტივის შექმნის ამოცანა.

მომავალზე ორიენტირებული, მაგრამ ამავე დროს წარსული ისტორიის საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდობის აღზრდას მიიჩნევდა ილია აღზრდის უმნიშვნელოვანეს მიზნად. ისტორია საუკეთესო მასწავლებელია და მომავლის საღი პერსპექტივის შექმნაც ილიასთვის მხოლოდ წარსულისა და აწმყოს ანალიზით იყო შესაძლებელი. აწმყო თავის თავში მოიცავს როგორც წარსულის ნაშთს, ასევე მომავლის ჩანასახსაც, იგი გამტარია, მაკავშირებელი რგოლი ძველსა და ახალს შორის, „ეს სამი სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელია, გაუგებარი და გამოუცნობია“, - წერდა ილია და ამ დებულებას აკავშირებდა ლაიბნიცის სიტყვებთან „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“. ლაიბნიცის ეს აფორიზმად ქცეული ფრაზა წამძღვარებული აქვს ილიას ლექსისთვის ,,ქართლის დედას“. აღსანიშნავია, რომ ილიამ მოგვცა იმავე შინაარსის მატარებელი, თუმც, მისთვის დამახასიათებელი გენიალური სიმარტივით ახსნილი შემდეგი სიტყვები: ,,წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა“ (ვარადაშვილი, 1971:36–37). ანუ, ხალხის ისტორია გვაძლევს ნამდვილ და უტყუარ საშუალებას იმის გასარკვევად, თუ როგორ და რა პირობებში შეიქმნა ეს აწმყო

წარსულისაგან და ამასთანავე ამ აწმყოს ნიადაგზე როგორი მომავალი შეიძლება წარმოიშვას. აქედან ვაკეთებთ შემდეგ დასკვნას, რომ როდესაც აწმყო საუკეთესო და საიმედო მომავალს არ გულისხმობს, მაშინ საჭიროა ამ აწმყოს გარდაქმნა იმ გზით და მეთოდით, რომელიც სწორედ წინასწარ მიზანდასახულ მომავალს მიგვაღებინებს (ჭავჭავაძე, 1938:72).

ილია წინააღმდეგია წარსულის გამო მოთქმა–ტირილის და ლექსში ,,ქართლის დედას“ ქართველ დედას მოუწოდებს მთელი ძალები მომავლისკენ მიმართოს, რათა ,,ვშვათ მყოობადი“ და ,,მივსცეთ მომავალი ხალხს“:

,,მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა:
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს
ჩვენ უნდა ჩვენში ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“
(ჭავჭავაძე, „ქართვლის დედას“) (ჭავჭავაძე, 2011:119)

ილია ოპტიმისტი მწერალია, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის საამაყოა და ტკბილი წარსულ დიდებულ დროებაზე ფიქრი და ამავდროულად მტკივნეულიც ამ დიდების დაკარგვა, მისი გონება მთლიანად მომავალზეა კონცენტრირებული, მისთვის ღირებული და აუცილებელი საზრუნავი მომავლის ვარსკვლავზე დადევნება, უკეთესი მერმისის შექმნაა. სწორედ ამ მონაკვეთიდან იკითხება ილიას დიდაქტიკური შეგონება ახალგაზრდობისადმი – ჩვენში დამარხული წარსული დიდების აღდგენა. აქ აშკარად ჩანს ის ძლიერი კავშირი, რაც წარსულსა და მომავალს შორისაა და მაკავშირებელი ძალა კი აწმყო დროში ის ახალგაზრდობაა, რომელსაც ეს უდიდესი მისია ეკისრებათ, მისია ქვეყნის სულიერი და ფიზიკური აღდგენისა, დავითის დროინდელი, თამარის დროინდელი ვარსკვლავური საქართველოს აღდგენის.

ილიას მთელი შემოქმედება გაჯერებულია ნათელი მომავლის რწმენით:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია,

თუმცა ძველნი დაგვშორდნენ, ახალი ხომ შენია,

მათ ახლად აღვიდგინონ შენ დიდების დღენია“.

(ჭავჭავაძე, „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..“) (ჭავჭავაძე, 2011:79)

ილიას ლექსებში ფაქტიურად მიმობნეულია ქართველი ერის თვითგადარჩენის სამოქმედო პროგრამა. ის ერთდროულად ახერხებს წარსულსა და არც თუ ისე სახარბიელო აწმყოზე საუბარს ისე, რომ ინარჩუნებს პერსპექტიული მომავლის რწმენას. ლექსის ,,ქართლის დედის“ მსგავსად აქაც იმავე დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს პოეტი. მიუხედავად რთული რეალობისა, რომელშიც იმყოფებოდა ილიას დროინდელი საქართველო, მომავალი თაობის წარმატებაში ღრმად დარწმუნებული ბრძენკაცი ქვეყნის დიდების დღეების აღდგენას ახალ თაობას მიანდობს. სწორედ ეს უჩანს მიზანთა შორის უმნიშვნელოვანესად ილიას, სწორედ ამ სანუკვარი მიზნის – პერსპექტიული მომავლის შემქმნელი ახალი თაობის აღზრდაა მისი დროის აღზრდის უმთავრესი მიზანი.

ილიას პოეზია მომავლის იმედითაა სავსე. ნათელი მომავლის რწმენა განსაკუთრებულობას იძენს ლექსში ,,ბაზალეთის ტბა“.

,,ბაზალეთისა ტბის ძირას

ოქროს აკვანი არისო

და მის გარშემო, წყლის ქვეშე,

უცხო წალკოტი ჰყვავისო...

წალკოტის შუაგულშია

ის აკვანი ასვენია,

და ჯერ კაცთაგან იქ ჩასვლა

არავის გაუბედნია...

ამბობენ – თამარ დედოფალს

ის აკვანი იქ ჩაუდგამს,

და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით

ტბა კარვად ზედ გადუხურავს...

იქნებ აკვანში ის ყრმა წევს,

ვისიც არ ითქმის სახელი,

ვისაც დღედაღამ ჰნატრულობს

ჩუმის ნატვრითა ქართველი?“

(ჭავჭავაძე, 2011:110–111)

აქაც პირდაპირი ბმაა წარსულსა და მომავალს შორის. ნიშანდობლივია, რომ ეს ბმა თამარის დროინდელ საქართველოსთანაა, უფრო მეტიც ლექსის მიხედვით, საქართველოს გადამრჩენელი გმირის აკვანი უშუალოდ თამარ დედოფალს ჩაუდგამს ბაზალეთის ტბაში.

ილიასთვის თამარის ეპოქაა ქართველი ერის დიდების მწვერვალი და ამ მწვერვალზე დაბრუნება მისთვის გარდაუვალია. აკვანში მწოლიარე ყრმა ქართველი ხალხის იმედთან სიმბოლიზდება. მიუხედავად მძიმე და წინააღმდეგობებით სავსე წარსულისა, ქართველობას არ დაუკარგავს ყველაზე მნიშვნელოვანი – იმედი უკეთესი მერმისისა, იმედი იმისა, რომ ოქროს ხანა მხოლოდ თამარის დროში არ გაყინულა და თუ ახალგაზრდობის სურვილი და მონდომება იქნება, თუ ისინი „მცნების ნათლით ზეაღზიდულ, ამაღლებულნი“ მოახერხებენ განსჭვრიტონ „საზოგადო ცხოვრების დენა,“ ისევ შევძლებთ საუკუნეების ტბების სიღრმეებიდან ამოვიტანოთ იმედის აკვანი და მასში არა წარსულიდან გადმოსული წარმოსახვითი გმირი, არამედ ჩვენი დროის, რეალური ადამიანები დავინახოთ. გმირობისთვის არ არის საჭირო ზებუნებრივი ძალების ქონა, საკმარისია სამშობლო ქვეყნის უკიდეგანო და შეუწონელი სიყვარული. გმირობა მხოლოდ ომში თავგანწირვას არ გულისხმობს, გმირობაა როდესაც ადამიანი თავგანწირულია შრომაში, სწავლასა და გარჯაში, რომელიც არ ივიწყებს წარსულს და მასზე დაყრდნობით იმედიანად იყურება მომავლისაკენ, რადგან იცის:

„ცხოვრებას აცისკროვნებს

სული, საქმით მეტყველი

და ის უბოლო არის,

ვით სულის შთამბერველი.

ნეტავ ვინც კარგის საქმით

აღნიშნავს თავის დროსა!

ის აქავ ეწაფება

უკვდავებისა წყაროსა!..“

(ჭავჭავაძე, „უსულგულო ცხოვრება“) (ჭავჭავაძე, 2011:107)

სწორედ ასეთ ,,უკვდავების წყაროს დაწაფებულ“ გმირებს ,,ჰნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“, სწორედ ასეთი გმირების აღზრდა გადაგვარჩენს და დაგვიბრუნებს შელახულ ეროვნულ ღირსებას.

ილიასთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მშობლიური ისტორიის მყარი და საფუძვლიანი ცოდნა, რათა წინაპრების შეცდომებზე ვისწავლოთ და ამით შევძლოთ იმ სასიცოცხლო ენერგიის დაზოგვა, რაც კიდევ უფრო დიდი მიზნების განხორციელებისთვისაა საჭირო, „შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ქონდეს რაშია მართალი და კარგი მისის მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თვითონ შვილი რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს და ამ წუთისოფელში ვერას გახდება“ (ჭავჭავაძე, 2011:202).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილიასთვის წარსულის ცოდნას პრაქტიკული დანიშნულება აქვს, თუმცა, ამავე დროს ხაზგასმას მოითხოვს ერთი ნიშანდობლივი დეტალი – მას არა მხოლოდ შეცდომებისგან თავის არიდებაში დახმარება შეუძლია, არამედ მისი წყალობით ახალგაზრდომას ეხსნება გონებრივი ჰორიზონტი, ამ ჰორიზონტიდან კი ნათლად ჩანს პერსპექტიული მომავლის სილუეტი.

ამრიგად, ილიას შემოქმედებაში აღზრდის მიზანთა შორის საპატიო ადგილს იჭერს ახალგაზრდობისათვის მომავლის პერპექტივის შექმნის ამოცანა. პერსპექტიული მომავლის შექმნის აუცილებელ პირობად, კი, ილია წარსული ისტორიის საფუძვლიან ცოდნას ასახელებს. მხოლოდ წარსულისა და აწმყოს ანალიზით, წინაპართა შეცდომების გათვალისწინებით, გონებრივი ჰორიზონტის გაფართოვებით ხდება რეალური პერპექტიული მომავლის დადგომა.

თავი IV

ილია ჭავჭავაძე აღზრდა-განათლების საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ

ილია ჭავჭავაძეს, როგორც დიდ განმანათლებელს, სულით ხორცამდე გასიგრძეგანებული ჰქონდა აღზრდა–განათლების უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ის მიიჩნევდა, რომ საქართველოს უკეთესი ხვალინდელი დღის დადგომა მხოლოდ მოწინავე იდეებზე აღზრდილ ახალ თაობას შეეძლო. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა აღზრდა–განათლებას, ეს კარგად ჩანს მისი შემდეგი სიტყვებიდან, რომელიც „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის გამოცემაში „კონრად კიფერის“ წინასიტყვაობად დაურთო დიდმა მწერალმა: „ჩვენ ვგონებთ, რომ ნამეტანი

იქნება იმაზედ ლაპარაკი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის კითხვას ყმაწვილების აღზრდაზე, რადგანაც ცხადია, რომ ქვეყნის მყობადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მისცემენ ახალს თაობას „ (ჭავჭავაძე, 1938:136–137).

ილია ქვეყნის კეთილდღეობის უმთავრეს იარაღად განათლებას მიიჩნევდა, რომელსაც შეეძლო საშინელი სენის – უვიცობის დამარცხება, „უმეცრება- აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰღრღნის სიცოცხლეს... უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია. განათლება, სწავლა, ცოდნა - აი, ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას. კვალში ჩაუდგეს, ხალხს მხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს, ვისაც რა წამალი აქვს, ვისაც რა მკურნალობა შეუძლიან. მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე, ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეაიარაღებულია, ყველა საჭიროა ეხლა“ (ჭავჭავაძე:1987:247-249). ილია მიიჩნევდა, რომ მართალია საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა ყველას ეკისრება, მაგრამ ცოდნით შეიარაღებულ ადამიანებს გაცილებით მეტის კეთების ვალდებულება და შესაძლებლობაც გააჩნიათ. სწორედ ცოდნით შეიარაღებულმა ადამიანებმა უნდა აღძრან სწავლა-განათლების სურვილი და ვისაც რა ცოდნა აქვს, ის ცოდნა წამალივით უნდა დაარიგოს ხალხში.

ილია მხარს უჭერდა რეალურ განათლებას, რომელიც ადამიანს ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოადგებოდა, ამრიგად მიესალმებოდა სასოფლო-სამეურნეო და პროფესიულ-ტექნიკური სკოლების გახსნას.

სწავლა-განათლების სურვილის აღძვრა საშურ საქმედ მიაჩნდა ილიას, ის თავის ნაწერებში არაერთგზის შეეხო აღნიშნულ საკითხს, „ვერავინ იტყვის, რომ ჩვენში გაღვიძებული არ იყოს სწავლისა და ცოდნის სურვილი. ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა: ყველა ჰხედავს, ყველა გრძნობს, ყველა ჰღაღადებს . ვინც იცის, რა ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება“ (ჭავჭავაძე, 1987:245). მთავარია ადამიანებს ეგრძნოთ, რომ განათლებას შეუძლია ყოფა-ცხოვრების გარდაქმნა, ხალხის სიღარიბიდან გამოყვანა და შემდეგ თვითონ დაეწაფებოდნენ მას. ილია ილაშრებდა იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც სწავლა-განათლებას ფუჭ საქმედ თვლიდა.

მხოლოდ მცოდნე კაცს შეუძლია იპოვოს ის სიმდიდრე, რომელიც დედამიწის გულში ძევს. მხოლოდ ცოდნას შეუძლია კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედოს. ქართველი ერისთვის იმჟამინდელი იარაღი მხოლოდ ცოდნა იყო, რომელსაც შეეძლო ადამიანი უმეცრების ბორკილებიდან ეხსნა.

ილია თავის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ შემოქმედებაში ყველგან და ყოველთვის განათლების დიდ მნიშვნელობას ეხება. აღნიშნავდა, რომ განათლების დიდ ძალას საზოგადოების შეგნებული ნაწილი აღიარებდა, მაგრამ იყვნენ ე.წ. „გადაგვარებულნი“ , რომლებიც არ სცნობდნენ განათლების საჭიროებას. ასეთია სწორედ „კაცია-ადამიანის?!“ პერსონაჟი ლუარსაბ თათქარიძე. ლუარსაბის სწავლისადმი დამოკიდებულება კარგად ჩანს მისი შემდეგი მონოლოგიდან, „დრო გამოიცვალა. რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა, ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ, რა კაცები არიან? წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი არ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი, წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, ეგ ხომ ქალის საქმეა“ (ჭავჭავაძე, 1938:440–441). აი, ასე გვაჩვენებს ილია იმდროინელი საზოგადოების გადაგვარებულ სახეს. ლუარსაბი უსაქმური, გაუნათლებელი ადამიანია, რომელსაც სწავლის მნიშვნელობა ვერ გამოურკვევია. ლუარსაბს არაფერი სხვა ღირებულება არ გააჩნია , სწორედ ამიტომაც ილიამ მათ შვილი არ აღირსა და თითქოს ასე ამოძირკვა ისეთი ადამინების ჯილაგი, რომელნიც „არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანას და არც თავისი სიკვდილით აკლებენ“. ილიას უყვარდა გონიერი ანდაზა „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. ის თავისი მხატვრული თუ არამხატვრული შემოქმედებით ცდილობდა ქართველი კაცისთვის თვალი აეხილა, სარკესავით მოეტანა ნაწარმოებები და თითოეულ კაცს საკუთარი ნაკლი დაენახა. იბრძოდა ილია ხალხისათვის, ცოდნისათვის, ვინაიდან მას განათლება არ მიაჩნია მხოლოდ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების წყაროდ, ასევე მისთვის ის არის დიდი რევოლუციური ძალა. „არა ღონე არ ექნება გაუნათლებელ კაცს თავისი ჯაჭვის დასამტრევლად“ (ჭავჭავაძე, 1938:20) წერს იგი.

ილიასთვის, როგორც უდიდესი პატრიოტისთვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყმაწვილების პატრიოტულ აღზრდას, რადგან სამშობლოს წარსულის ცოდნით და გამოცდილებით შეიარაღებული ახალგაზრდა უფრო ძლიერი და მედგარი იქნება სამშობლოს წინაშე დამდგარი გამოწვევებისა და შემოტევების მიმართ, უფრო უკეთ შეძლებს მშობლიური ქვეყნის დაცვას.

ილიას სამართლიანი მტკიცებით, საქართველო, ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, მაგრამ მაინც ღარიბები ვართ, იმიტომ რომ „ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია... საიდამ რა ამოვიღოთ“, ერთი სიტყვით, გვაკლია ის, რაც ხერხსაც სჯობია და ღონესაც (ბასილაძე, 2017:60). ილია „ისევ განათლების საკითხებზე“ წერს, რათა ხალხს გააგებინოს ცოდნის პრაქტიკული საჭიროების შესახებ, რომ ცოდნა „მორთულობა“ და „სამკაული“ არ არის. „ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც. ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად“(ჭავჭავაძე, 1987:268). მხოლოდ მცოდნე ადამიანია ძლიერი, უცოდინარს კი „წუთისოფლის სუფრაზე“ ნარჩენი ერგება. ცოდნა ძალაა სიღარიბიდან გამოსაყვანად.“ ცოდნა ,სწავლა-განთლება დაუშრეტელი წყაროა როგორც კაცად მყოფობისათვის ისე თავის სარჩენად, ისე ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად“ (ჭავჭავაძე, 1897:169). მხოლოდ მცოდნე ადამიანია „ბატონი“, უსწავლელი კი „ყურმოჭრილი ყმაა“. მისი აზრით, ჩვენ უფულობას და უსახსრობას კი არ უნდა ვტიროდეთ, არამედ უცოდინრობას, ცოდნის უქონლობას. „მაშასადამე, ცოდნა, სწავლა-განათლება, მარტო სამკაული კი არ არის კაცისა, პირველ წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც სასმელი და საჭმელი, ერთის სიტყვით, როგორც ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხეირი ამ ქვეყანაზედ არ შეუძლიან“ (ჭავჭავაძე, 1987:270). აი, ამიტომაც იყო, რომ დიდმა ილიამ ცოდნის მნიშვნელობის დასაბუთებას და ამ აზრის ხალხში გავრცელებას მთელი სიცოცხლე შეალია. თავის მრავალრიცხოვან სტატიებში იგი თავგამოდებით

მოუწოდებდა ქართველ ახალგაზრდობას ცოდნის, სწავლა-განათლების დაუფლებისა და ამ ცოდნის ერისა და ქვეყნის სამსახურში ჩაყენებისაკენ (ბასილაძე, 2017:60).

ახალი თაობა უნდა ეტანებოდეს სწავლა-ცოდნას , რათა მიეცეს ძალა ცხოვრების მოედანზე გასამარჯვებლად. ილია ცოდნას ანიჭებს აქტიური საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულებას, ის წინააღმდეგია ცხოვრებიდან მოწყვეტილი ცოდნისა. მას უნდა ჰქონდეს ორგანული და მტკიცე კავშირი ცხოვრებასთან და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არ უნდა ატარებდეს „სამკაულის“ მნიშვნელობას. ილია წერს: „ რატომა ვართ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ღარიბნი და გუშინდელი მოსული გერმანელი კი მდიდარი? ჯერ იმიტომ, რომ გერმანელს და სხვას მისებრ მიხვედრილს კაცს ცოდნა და სწავლა-განათლება სამკაულად კი არა აქვს მიჩნეული, როგორც ბუზმენტი ჩოხისათვის, ან ძეწკვი გულმკერდისათვის“, არამედ პრაქტიკულად გამოსაყენებ ძალადო (ჭავჭავაძე, 1938:23). გერმანელი ყველაფერს მოიკლებს, რათა შვილს გონებრივი საზრდო მისცეს და ქვენისათვის გამოსადეგ პიროვნებად აქციოს. ქართველი კაცი კი თავს იწონებს ვენახითა და მინდორ-ველებით, შვილის აღზრდა კი მხოლოდ სკოლისათვის მიუნდია. სკოლისთვის რომლის რაოდენობაც არც ისე ბევრია და შემძლებლობასაც და სახსარსაც მოკლებულია. ილიას აზრით, რაც შეიძლება მეტი სკოლა უნდა გახსნილიყო, რომ სწავლა-განათლება, როგორც შუქი მოჰფენოდა საზოგადოებას. ის ცოდნას ანთებულ სანთელს ადარებდა „ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს ამით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცოცხლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათაი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა“. ამ სიტყვებით ჩანს, თუ რა ძლიერ სწყუროდა მას ცოდნის გავრცელება ხალხში. ფაქტიურად ამაზედ დიდი იარაღი ქართველი ერის გადარჩენისა არ მოიპოვებოდა იმჟამინდელ საქართველოში (ჭავჭავაძე, 1987: 245).

დიდი ილიასთვის მიუღებელი იყო ახალგაზრდობის ფორმალური განათლება. ამ საკითხთან დაკავშირებით ილია წერს: „დღევანდელ დღეს, ადვილად შესაძლოა შეხვდეთ,- კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით კი სრულებით სხვა. ეს იმიტომ არის, რომ დედა-აზრი, სკოლაში სწავლა ცოდნით გამორკვეულნი მარტო ფორმალურად არიან მიღებული და არა მათის შინაგანი აზრითა, არა მათის ბუნებურის

შინაარსითა“ (ჭავჭავაძე, 1938:24). აშკარაა, რომ ცოდნა მაშინაა ქმედითი და სიკეთის მომტანი, როცა ის რეალისტურია, როცა მისი მნიშვნელობა და პრაქტიკული დანიშნულება თავშივეა გამორკვეული. რეალისტურ განათლებას უნდა იძლეოდეს სკოლა, სადაც ბავშვი უნდა იწრთვნებოდეს არა მარტო გონებით, არამედ ყოველმხრივ, რასაც პირდაპირ გულისხმობს ტერმინი – ჰარმონიული განათლება. მათი ურთიერთკავშირი იძლევა სრულყოფილი აღზრდის ფუნდამენტს, რაზეც ხდება რეალისტური ცოდნის დაშენება.

ილია ხაზს უსვამს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპის შენარჩუნების აუცილებლობას, სხვა შემთხვევაში ცოდნა უტარო ცულს დაემსგავსება. ადამიანი თანაბრად უნდა განვითარდეს თეორიული და პრაქტიკული მიმართულებით, „ადამიანის თეორიული ცოდნა უნდა ვლინდებოდეს მის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მოქმედებასში და ყოფა-ცხოვრებაში. სამაგიეროდ თვით ეს ცხოვრება და მოქმედება სავსებით უნდა შეეფერებოდეს მის თეორიულ ცოდნას ისე, რომ ადამიანის მოქმედება და ყოფა-ცხოვრება მისი ცოდნა-განათლების გამომხატველი იყოს“ (ჭავჭავაძე, 1938:24).

დიდი მოაზროვნე ილაშქრებს სწავლების დოგმატური მეთოდების წინააღმდეგ. განათლებული ადამიანი უნდა ახერხებდეს თეორიისა და პრაქტიკის, წიგნისა და ცხოვრების მთლიანობის შენარჩუნებას, ამ კავშირის მნიშვნელობაზე საუბრობს მწერალი „ოთარაანთ ქვრივის“ არჩილის პირით: „ არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის“ (ჭავჭავაძე, 1938:451–452).

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე აღზრდა-განათლებას განსაკუთრებულ საზო-გადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს. მთელი მისი შემოქმედება გაჯერებულია სწავლის მნიშვნელობაზე მსჯელობით. ილიას აზრით, მხოლოდ მეცნიერული განათლებით აღჭურვილ ახალგაზრდობას შეეძლო ქვეყნისთვის დაკარგული ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი სიღარიბიდან გამოყვანა. ილიას შეხედულებებს პრაქტიკული დანიშნულება აქვს დღევანდელობაშიც, მათი გათვალისწინებით მარტივდება სწავლისა და აღზრდის თანამედროვე სიტუაციის კრიტიკული შეფასება,

რაც ცხადია დიდ სამსახურს გაუწევს ახალგაზრდობის აღზრდა–განათლების პროცესის ხარისხის ზრდას.

დასკვნა

ნაშრომში განხილულია ,,აღზრდის მიზნები და ამოცანები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“. თემაზე მუშაობის დროს გამოიკვეთა შემდეგი პრობლემა – მიუხედავად იმისა, რომ დიდი ილიას შემოქმედება მრავალმხრივაა შესწავლილი, მისი პედაგოგიური მემკვიდრეობით მკვლევართა მცირე რაოდენობა დაინტერესებულა და შესაბამისად აღნიშნული თემატიკის სამეცნიერო ლიტერატურაც სიმწირეს განიცდის. საკითხის კვლევისას ძირითადი მასალა, რასაც დავეყრდენით იყო უშუალოდ ილია ჭავჭავაძის ნაწერები: ლექსები, პოემები, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები და სხვ. მათი ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე შევეცადეთ გაგვეკეთებია ჩვენეული დასკვნები.

აღნიშნული ნაშრომი შედგება ოთხი თავის, შვიდი ქვეთავის, შესავლისა და დასკვნისაგან. ბოლოს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

პირველ თავში – ,,საკითხის კვლევის ისტორიაში“ განხილულია საკითხთან დაკავშირებით არსებული სამეცნიერო ლიტერატუტა. ჩვენი სამაგისტრო თემის კვლევის უმთავრეს მიზანს შეადგენდა ეჩვენებია, თუ როგორ დგას აღზრდის მიზნის საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. აქედან გამომდინარე ძირითადი წყარო რაზეც დაფუძნდა ჩვენი დასკვნები არის უშუალოდ ილია ჭავჭავაძის მხატრული და პუბლიცისტური ხასიათის თხზულებები. ასევე გათვალისწინებულ იქნა ის შეხედულებები, რაც გაზიარებულია საკითხთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

მეორე თავში – აღზრდის საგანი, მიზნები და ამოცანები (ზოგადი მიმოხილვა) წარმოდგენილია აღზრდის მიზანსა და ამოცანებთან დაკავშირებით არსებული შეხედულებები ანტიკური პერიოდიდან დღემდე. ეს თავი ატარებს ზოგადმიმოხილვით ხასიათს და საკითხის დასმაში გვეხმარება. ამავე თავში ვაკეთებთ დასკვნას, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც განვითარების თეორიის წარმომადგენელი აღზრდის მიზანს არკვევს ისტორიული რეალობის გათ–ვალისწინებით. აღზრდის უმთავრეს მიზნად მიიჩნევს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას, რომელიც ისტორიზმის პრინციპის გათვალისწინებით შეძლებს ღირსეული პასუხი გასცეს ქვეყნის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევებს.

მესამე თავი – აღზრდის მიზნები და ამოცანები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში შვიდ პარაგრაფს მოიცავს. მათში დეტალურადაა განხილული ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური შეხედულებები შემდეგ საკითხებზე: გონებრივი განათლება, ფიზიკური განვითარება, ზნეობრივი აღზრდა, ეროვნულ-პატრიოტული განათლება, პროფესიული განათლება, თვითმოქმედებისა და პირადი ინიციატივის უნარის გამომუშავება, მომავლის პერსპექტივის შექმნის ამოცანა. აღნიშნულ თავზე მუშაობისას გავაკეთეთ შემდეგი დასკვნები:

1. გონებრივი განათლება: ილია ჭავჭავაძე აღზრდის უმთავრეს პრინციპად ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას მიიჩნევდა, ხოლო ჰარმონიული განვითარებისათვის, კი, უმნიშვნელოვანესად ინტელექტუალური, იგივე გონებრივი აღზრდა, ანუ განათლება მიაჩნდა.

2. ფიზიკური განვითარება: ილიას „თანაბარი წარმატება სულისა და ხორცისა“ მიაჩნია აღზრდისა და სწავლა-განათლების ისეთ ამოცანად, რომელიც სკოლას ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს. ჯანმრთელი, მხნე, ღონიერი, სიძნელეთა ამტანი, გამძლე, მებრძოლი და გმირული სულისკვეთებით გაჟღენთილი თაობა - აი რა მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს ფიზიკური აღზრდის მიზნად. მის თანამედროვე სკოლას აღზრდის ეს მხარე არ აინტერესებდა. ილიას თქმით, ამ სკოლაში მოსწავლე „სულით და ხორცით იქანცება, არაქათი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორცით ღონიერ ადამიანის მაგიერ უძლური, უღონო და ჯამ-გალეული კაცი გამოდის სკოლიდან“. ილია ენერგიულად მოითხოვს ასეთი სკოლის გარდაქმნას „თანამედროვე პედაგოგიის თვალსაზრისით“. ეს თვალსაზრისი სხვა საჭიროებათა შორის მოითხოვდა ბავშვის ჰარმონიულ განათლებას, რომელიც ფიზიკურ განვითარებას აღზრდა-განათლების სხვა მომენტების სიმაღლეზე აყენებდა.

3. ზნეობრივი აღზრდა: ილიას აღზრდის სისტემაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ზნეობრივი აღზრდა, რომელიც ადამიანის სისრულის აუცილებელ პირობად მიაჩნია მწერალს. ილიას ზნე-ხასიათი წარმოდგენილი აქვს როგორც კონკრეტული შინაარსის მქონე ფსიქიური მოვლენა. ზნეობრივი აღზრდის საშუალებად აღმზრდელობით მუშაობას მიიჩნევს. აღმზრდელობითი მუშაობა მაგალითის

მნიშვნელობის გათვალისწინებით უნდა განახორციელოს სკოლამ, ოჯახმა და მაკრო საზოგადოებამ ერთობლივად, რათა აღიზარდოს პატრიოტი, სამშობლოს და ქვეყნის მოყვარული, სამართლიანი და პასუხისმგებლობით სავსე ახალგაზრდა.

4. ეროვნულ-პატრიოტული განათლება: ილია ჭავჭავაძე აღზრდის მიზანთა შორის განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ეროვნულ-პატრიოტულ აღზრდას. პატრიოტული აღზრდის უშუალო მიზნად ახალგაზრდებისათვის სამშობლოს უანგარო სიყვარულის სწავლებას ასახელებს. ილია ახალგაზრდების პატრიოტულ აღზრდას თავის შემოქმედებაში სახელოვან მამულიშვილთა ღვაწლისა და თავდადების წარმოჩენით აღწევდა. ისტორიზმის გათვალისწინებით თავისი დროის უმთავრეს პატრიოტულ მიზნად ,,დაცემული ვინაობის აღდგენას“ მიიჩნევდა, რომლის მიღწევაც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებამდე მიიყვანდა. სწორედ ამ ბრძოლისთვის გამოსადეგი ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდა იყო მიზანთა შორის უდიდესი.

5. პროფესიული განათლება: ილია ჭავჭავაძე აღზრდის მიზანთა შორის თვალსაჩინო ადგილს უთმობს ყმაწვილთა პროფესიულ განათლებას. პროფესიული განათლების საგნად კი, ახალგაზრდებისათვის პრაქტიკული სახელოსნო და სამეურნეო ცოდნის მიცემას მიიჩნევდა.

6. თვითმოქმედებისა და პირადი ინიციატივის უნარის გამომუშავება: ილია ჭავჭავაძე ადამიანის ჰარმონიულად აღზრდა–განვითარების მნიშვნელოვან მომენტად მიიჩნევს თვითმოქმედების, პირადი ინიციატივისა და კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავებას. ეს უნარები ილიასთვის უმნიშვნელოვანესია ადამიანის დამოუკიდებელი, შეგნებული და სხვათა აზრების გავლენისაგან თავისუფალი ცხოვრებისათვის. ილიას სწამდა, რომ ცალკეულ პირთა თავისუფლება საბოლოოდ ეროვნულ თავისუფლებამდე მიიყვანდა ქვეყანას, ამდენად ზემოაღნიშნულ თვისებებს პატრიოტული დანიშნულებაც გააჩნდა. როგორც წინა თავებში ავღნიშნეთ, ილია მისი დროის აღზრდის უმთავრეს მიზნად დაკარგული ეროვნული ღირსების აღდგენას მიიჩნევდა, ამ მიზნის მიღწევას კი სწორედ ინიციატივიანი, კრიტიკული აზროვნებით აღჭურვილი ძლიერი გონების ახალგაზრდები შეძლებდნენ.

7. მომავლის პერსპექტივის შექმნის ამოცანა: ილიას შემოქმედებაში აღზრდის მიზანთა შორის საპატიო ადგილს იჭერს ახალგაზრდობისათვის მომავლის პერპექტივის შექმნის ამოცანა. პერსპექტიული მომავლის შექმნის აუცილებელ პირობად, კი, ილია წარსული ისტორიის საფუძვლიან ცოდნას ასახელებს. მხოლოდ წარსულისა და აწმყოს ანალიზით, წინაპართა შეცდომების გათვალისწინებით, გონებრივი ჰორიზონტის გაფართოვებით ხდება რეალური პერპექტიული მომავლის დადგომა.

მეოთხე თავში – ილია ჭავჭავაძე აღზრდა-განათლების საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ – მოცემულია ილიას შეხედულებები სწავლის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ. ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება გაჯერებულია სწავლის მნიშვნელობაზე საუბრებით. ის მიიჩნევდა, რომ მხოლოდ მეცნიერული განათლებით აღჭურვილ ახალგაზრდობას შეეძლო ქვეყნისთვის დაკარგული ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი სიღარიბიდან გამოყვანა. ილიას შეხედულებებს პრაქტიკული დანიშნულება აქვს დღევანდელობაშიც, მათი გათვალისწინებით მარტივდება სწავლისა და აღზრდის თანამედროვე სიტუაციის კრიტიკული შეფასება, რაც ცხადია დიდ სამსახურს გაუწევს ახალგაზრდობის აღზრდა–განათლების პროცესის ხარისხის ზრდას.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე აღზრდის ფუნდამენტურ მიზნად ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას მიიჩნევს. ილიასეული ჰარმონიული განვითარება, კი, გულისხმობს, ერთდროულად: გონებრივად, ფიზიკურად, ზნეობრივად აღზრდილ პიროვნებას, რომელსაც განვითარებული აქვს თვითმოქმედებისა და კრიტიკული აზროვნების უნარი, დასახული აქვს მომავლის პერსპექივა და სამშობლოს უანგარო სიყვარულით უცემს გული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასილაძე ნ., ილია ჭავჭავაძე და პედაგოგიკის საკითხები, ბათუმი, 2017
2. ბასილაძე ნ., XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა ბრძოლა მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის, გამომც. ,,ლაზარე", ბათუმი, 2011
3. ბასილაძე ნ., ქართული პედაგოგიკის ისტორია გამომც. ,,ლაზარე", ბათუმი, 2013
4. ბაიაძე ვ., რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, გამომც. ,,განათლება", თბ. 1979
5. ბიბილეიშვილი ი., პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, გამომც. ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათუმი, 2011
6. გობრონიძე ა., პეადგოგიკა, ,,გამომცემლობა აჭარა", ბათუმი, 2000
7. გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ.3, თბ., 1990
8. გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ.4, თბ., 1955
9. გოგალაძე ბ., მოსწავლეთა ტექნიკური აზროვნებისა და პროფესიული ორიენ-ტაციის კვლევის ზოგიერთი საკითხი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1974
10. ვარადაშვილი გ., ილია ჭავჭავაძის ქართლის დედას, ჟურნ. ,,ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1971, N3
11. ზოიძე ა., პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზრდისათვის, გამომც. ,,საბჭოთა აჭარა", ბათუმი, 1988
12. თავზიშვილი გ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II, თბ., გამომც. ,,განათლება", 1977
13. თურმანიძე თ., სწავლა–აღზრდისა და სწავლების შესახებ, გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე", თბ., 2015

14. ილია ჭავჭავაძე და პედაგოგიკის საკითხები, ალ., გობრონიძის რედაქციით, კრებული, გამომც. ,,ალიონი“, ბათუმი, 1997
15. პედაგოგიკა, დ. ლორთქიფანიძის რედაქციით, თბ., 1969
16. ღვინჯილია ჯ., პოეტური ენერგია, გამომც. ,,ნაკადული“, თბ., 1989
17. შარაძე გ., ილია ჭავჭავაძე, ორტომეული, წიგნი I, გამომც. ,,ხელოვნება“, თბ., 1987
18. შარაძე გ., ილია ჭავჭავაძე, ორტომეული, წიგნი II, გამომც. ,,ხელოვნება“, თბ., 1990
19. ჭავჭავაძე ი., ქართული მწერლობის საუნჯე, ტ. XI, თბ., ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011
20. ჭავჭავაძე ი., აზრები, შემდგენელი გ. კალანდარიშილი, თბ., 1988
21. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, გამომც. ,,საბჭოთა საქართველო“, თბ., 1984
22. ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწარმოებები, ხუთ ტომად, ტ. III, გამომც. ,,საბჭოთა საქართველო“, თბ., 1986
23. ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწარმოებები, ხუთ ტომად, ტ. IV, გამომც. ,,საბჭოთა საქართველო“, თბ., 1987
24. ჭავჭავაძე ი., პედაგოგიური თხზულებანი (პროფე. გ. თავზიშვილი), თბ., გამომც. სახელგამი, 1938
25. ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული, ტომი 2, თბ. 1941
26. ხუციშვილი ს., ,,ერის წყლული მაჩნდეს წყლულად...“ ჟურნ. ,,კრიტიკა“, N4, გამომც. ,,მერანი“, თბ., 1987
27. ჯიბლაძე გ., პედაგოგიკა და მეთოდიკა, გამომცემლობა ,,განათლება“, თბ., 1974
28. ჯიბლაძე გ., თანამდევი, უკვდავი სული, გამომცემლობა ,,მეცნიერება“, თბ., 1987